

ქართული



ქართუდი მარჯო უნან?
ქართუდი ქართუდო რსმუნან!
დქართოიან, ბედისუნქრან,
ზღვან როან, იმოღუნან!

გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო

ნომჯიშონა:

საზიხვედრეველი ღუბი	3
აფხუზის ქვეყნები: უნიშველი მოვლენა მნიშველიყვანი შველებით	4-8
სყადნის მონევენი - ბეიღნის სედის წანიღი?	9-10
ქაიხვედი მხედრომთახევი მეფე დავით IV აღმაშველებელი	10-14
მანიამბა	14-15
ზახიასხის სყმიობა მიუნენის ქაიხვედი ვადხიასში	16-18
„იბეიხი“ გამახვევა სადხი სყვევის დეხვიდაღე	19
საქაიხვედის ბეიშველი სოდონევი	21-27
„ხევიმიხევი“ შვედევი	27-34

ს ვ ო რ ვ ე ც ვ ე რ მ ც ე ს ი

ამ ოღესლაც ზეციური გზა გაყვანილია:
 წყალნითულა... ძონადეთა... ძნვანუყვავილა...
 ეს ადგილი ქრუცის ჭიანი, ქრუცის ძიბია,
 წყალია თუ ჰაერია = სხვანაირია.
 ამ ადგილას ვხედავდვალას
 ბერძენს ძივლია,
 ამ ადგილას ცად ავბინდე -
 სულ ადვილია.
 ეს ყავყავი, ეს სიცილი, ეს ყილოყავი
 სულ სამოთხის რიცეფია სულში მეოგავი.
 ამ ადგილას ცა იხსნება ყოველ ღვიობადლე.
 ყველაფერი ავიხდება, რასაც იხატებ.
 ჩუ-ჩუ! ვალომანი ეს სანაყობია,
 წყთუ „ძენ ხარ ვნახია“?! სანაყლია.

ამ ადგილას ცა იხსნება ნათყობინჯალი,
 საქართველოს ვნებება ყვლის ზიბჯვარი...

გიორგი ლონიძე

აგვისტოს ქვეყნებში: უნივერსალური მოვლენა მნიშვნელოვანი შედეგებით



ივან კრასტევი

რუსეთი ყველა ამ ტოლობის ცენტრშია. ომი მოსკოვისთვის იმის შესაძლებლობა გახდა, რომ “ცივი ომის” დასრულების შემდეგ საკუთარი საზღვრების მიღმა პირველი ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია ეწარმოებინა. მოგვიანებით სამხრეთ-ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საზღვრების გადახედვა პირველად მოხდა. რუსეთი

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის პოლიტიკური შედეგები, მხოლოდ ამ მოვლენის უშუალო მონაწილეებზე არ ასახულა: მან პოსტ-საბჭოთა სივრცეზე, შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირზე, ჩინეთსა და თურქეთზეც კი სერიოზული გავლენა მოახდინა. ივან კრასტევი ტოქსიკური კონფლიქტის შედეგებს აჯამებს და მომავლისკენ იხედება 100 დღეზე ნაკლები დრო დასჭირდა იმას, რომ 2008 წლის 8-12 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი სხვა ისტორიულ მოვლენას გადაეფარა. აგვისტოს ქვეყნები უოლ-სთრითის ჭეჭა-ჭეხილმა დაჩრდილა. ომი, რომელიც იმ დროისთვის საბედისწერო ჩანდა, მომენტალურად ამნეხიის მსხვერპლი გახდა: ის უმნიშვნელო მოვლენად გადაიქცა, მაგრამ ამ უმნიშვნელო მოვლენას, მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა.

ვფიქრობ, ერთი წლის შემდეგ ამ შედეგების შეჯამების დრო დადგა. ძირითადი მონაწილეების - საქართველოს და რუსეთის, ასევე აშშ-სა და ევროკავშირის - ომის შემდგომი შემაჯამებელი ბალანსები, დიდწილად ეკონომიკური კრიზისით დაზარალებული უოლ-სთრითის ფინანსური ინსტიტუტების დოკუმენტაციას ჰგავს: გამოუცხადებელი დანაკარგები და გაზრდილი მოგება.

და მართლაც, ამ ტოქსიკური კონფლიქტის შედეგებში წაგებულების დანახვა უფრო მარტივია, ვიდრე მოგებულების. 2008 წლის აგვისტოში საქართველომ საკუთარი ოცნებები დაკარგა, კრემლმა - კომპლექსები, ვაშინგტონმა - ნერვები, ევროკავშირმა კი მშვიდი ძილი, მაგრამ როგორც პოეტმა სთქვა, არ არსებობს იმაზე მეტი წარმატება, ვიდრე მარცხი: ქაოტური შედეგები იმასაც გვიჩვენებს, რომ ზოგიერთმა ამ და სხვა შესახელმწიფომ თანმდევი მოგება მიიღო.

ომიდან რევიზიონისტულ შესახელმწიფოდ გამოვიდა და ევროპას ევროპული წესრიგის არსებობის ილუზია დაუკარგა. რუსი ანალიტიკოსი სერგეი მარკედონოვი აბსოლუტურად მართალია, როდესაც ამბობს რომ - “2008 წლის აგვისტოში ევრაზიის ტერიტორიაზე კონფლიქტების საბოლოო გადატვირთვა მოხდა.” ომის შედეგების ამგვარი შეფასება თავის თავში ყველა ძირითადი მოთამაშის როლს და ევროპული წესრიგის მომავლისთვის ომის შედეგებს მოიცავს.

საქართველოს თავისუფალი ბალანსი
საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, როდესაც სამხრეთ-ოსეთის დედაქალაქ ცხინვალზე სარაკეტო შეტევა წამოიწყო. მან გარისკა და დამარცხდა, მასთან ერთად დამარცხდა საქართველოც. მან აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი დაკარგა, რადგან ომის დასასრულს მისგან ისედაც გამოყოფილ “სახელმწიფოებზე” მას ხელი ვერ მიუწვდა. ქვეყანამ სამხედრო ინფრასტრუქტურა და სწრაფ ეკონომიკურ განვითარებაზე ოცნება დაკარგა. საქართველოს სტრატეგიული ამბიციაც კავკასიურ ისრაელად გადაქცეულიყო, კომმარად იქცა. იმავედროულად, სააკაშვილი დამარცხდა, მაგრამ მოახერხა და ოპოზიციის სერიოზული პოლიტიკური კრიტიკის მიუხედავად ხელისუფლებაში დარჩა. მისი მმართველობის ქვეშ საქართველო საკუთარ მარცხს შეეგუა და 2008-2009 წლებში, ეს ქვეყანა ამერიკის კლიენტისგან ევროპულ პროექტად გადაიქცა. თბილისის სტრატეგიული სარგებელი სწორედ ამაში მდგომარეობს.

ვაშინგტონის თავისუფალი ბალანსი
2008 წლის პირველ თვეებში შეერთებულმა შტატებმა სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, როდესაც იგნორირება გაუკეთა მისი სტრატეგიული

მოკავშირის, თბილისის საომარ მისწრაფებებს აჯანყებული ტერიტორიების წინააღმდეგ. ჯორჯ ბუშის თეთრმა სახლმა, მიხეილ სააკაშვილის მთავრობის რეალური განზრახვები ვერ ამოიცნო და საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე მოსკოვის მზადყოფნა ფაქტობრივად არასწორად შეაფასა. ამის შედეგად, აშშ-ს ძლევამოსილების მიმართ ნდობის სერიოზული კრიზისი შეიქმნა. ვაშინგტონს, რომელიც სიმბოლური პოლიტიკით შეპყრობილი გახლდათ, სტრატეგიული დაძაბულობა ძვირად დაუჯდა.

შედეგი კატასტროფული აღმოჩნდა. რუსულ-ქართული კონფლიქტის ხუთმა დღემ აჩვენა, რომ ვაშინგტონს მოსკოვზე ზეწოლის ბერკეტები არ გააჩნია, ხოლო ბუშის ერთგულება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი - რიტორიკაა და მეტი არაფერი. საბოლოო ჯამში, ნატო-ს გენერლები გორის დასაცავად (სადაც იოსებ სტალინი დაიბადა) ალიანსის ჯარისკაცების გასაგზავნად მზად არ აღმოჩნდნენ.

ამ ყველაფერმა ამერიკის საგარეო პოლიტიკურ თანამშრომლობაში განხეთქილება გააღრმავა, გაზარდა რა კონფლიქტი “რეალისტებსა” და “მორალისტებს” შორის.

ბარაკობამას ხელისუფლებაში მოსვლა იმასნიშნავდა, რომ რუსეთის მიმართ აშშ-ს პოლიტიკა შეიცვლებოდა. საჯაროდ გაცხადებული “გადატვირთვის სტრატეგიის” ეპიცენტრში, ვაშინგტონის მზადყოფნაა მოსკოვთან ურთიერთობების გაუმჯობესებისას ისეთ გლობალურ საკითხებზე მოახდინოს კონცენტრაცია, როგორებიცაა ბირთვული არსენალების შემცირება და ირანის ამბიციების შეკავება, იმ დროს როდესაც ევროკავშირს პოსტ-საბჭოთა სივრცეში შექმნილ დაძაბულობასთან უწევს გამკლავება.

ახალი რეალობა ისეთია, რომ აშშ ევროპული მოთამაშე აღარ არის, როგორც ეს “ცივი ომის” დროს ან 1990-იან წლებში იყო.

რუსეთის თავისუფალი ბალანსი

სამხედრო თვალსაზრისით რუსეთმა 2008 წლის ომში გაიმარჯვა, თუმცა მისი წარმატება ნაწილობრივ რუსეთის შეიარაღებული ძალების გაუმართავი ფუნქციონირებით შეილახა. ომმა ვლადიმერ პუტინის და დიმიტრი მედვედევის რეჟიმის ლეგიტიმურობა განამტკიცა, მან რუსეთის საზოგადოების მხარდაჭერა მიიღო და განსაკუთრებით რუსეთის იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც 1990-იანი წლების მოვლენებით დღემდე ტრავმირებული არიან, ეს “პატარა ძლევამოსილი ომი” თითქმის ოცწლიანი დამცირების შემდეგ, სასურველი ცვლილება გახლდათ. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ქუჩაში მოზარდებიც კი საქართველოს და ამერიკის შეერთებულ შტატებს რუსეთის მთავარ

მტრებად მიიჩნევენ. გარდა ამისა, ომის შედეგად, საქართველოს და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივა უახლოეს ათწლეულებში ფაქტობრივად მთლიანად განადგურდა.

იმავედროულად, რუსეთის მტკიცე სამხედრო რეაქციას სტრატეგიული დანაკარგებიც მოჰყვა. ომმა კავკასია უფრო უსაფრთხო ვერ გახადა. რუსეთის მიერ სამხრეთ-ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ (ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც იგივე გააკეთა ნიკარაგუა იყო) რეგიონში არასტაბილურობის საფრთხე გაზარდა. ინგუშეთის მსგავს ადგილებში პოლიტიკური მკვლევლობების რიცხვი გაიზარდა, რაც რეგიონის მზარდი არაკონტროლირებადობის დემონსტრირებას ახდენს. რუსი ანალიტიკოსი ნიკოლაი პეტროვი ამტკიცებს, რომ ჩეჩნეთის პრეზიდენტი რამზან კადიროვი ჩეჩნეთისთვის “აფხაზური” სტატუსის მოპოვებისკენ იხრება.

კრემლის რევიზიონიზმი სხვა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებმა არ მოიწონეს. სამხრეთ-ოსეთის და აფხაზეთის აღიარებიდან მეორე დღესვე რუსეთმა აღმოაჩინა, რომ ის ტოტალურ დიპლომატიურ იზოლაციაში იმყოფებოდა.

ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ისტორიის მორიგი დამახინჯების მცდელობის გამო, რუსეთმა საქართველოში მოგებისგან შეიძლება იმაზე მეტი დაკარგოს, ვიდრე 2003-2005 წლის “ფერადი რევოლუციების” დროს დაკარგა. იმ დროს რუსეთმა საქართველოსა და უკრაინაში მისი პრესტიჟი და მდგომარეობა დაკარგა, მაგრამ ამას იმით უპასუხა, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცის ავტორიტარულ ლიდერებთან საერთო ინტერესები გამოიხატა, რამაც მას რეგიონის ზოგიერთ ნაწილზე გავლენის გაზრდის საშუალება მისცა.

თუმცა ამასაც თავის ფასი აქვს: ახლა, როდესაც რუსეთი აშკარად რევიზიონისტ ზესახელმწიფოდ გადაიქცა, რომელსაც მისი მეზობლები უფრთხიან და უპირისპირდებიან, მოსკოვის პოზიციამ და რიტორიკამ (იმის მტკიცების ჩათვლით, რომ ის პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებში თავისი თანამემამულეების ინტერესებს იცავს) საფუძველშივე შეცვალა “ახლო საზღვარგარეთში” რუსული უმცირესობებისადმი დამოკიდებულება.

კრემლმა სამხრეთ-ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ერთი მკაფიო მიზნისთვის აღიარა, რათა “ორმაგ სტანდარტებზე დაენგრია დასავლეთის მონოპოლია.” ქმედება, რომელიც ძალის დემონსტრირება უნდა გამხდარიყო - და პირდაპირი პასუხი დასავლეთის მიერ 2008 წლის თებერვალში კოსოვოს აღიარებაზე - სისუსტის დემონსტრირებად იქცა. რეალური სხვაობა “კოსოვოს საქმესა” და “სამხრეთ-ოსეთის საქმეს” შორის ის არის, რომ

სერბეთი იმის შემდეგაც კი, როდესაც ის ნატო-ს თვითმფრინავებმა დაბომბეს (მისი აზრით უკანონოდ) და კოსოვო წართვეს, თავის თავს ძველებურად ნატო-ს და ევროკავშირის წევრად და არა მათ მტრად განიხილავს.

და აქ საქართველოსთან აბსოლუტური კონტრასტია: ერთადერთი მომავალი, რაზეც საქართველოს შეუძლია იოცნებოს არის ის, რომ როგორმე რუსული გავლენის სფეროს დაშორდეს.

ბარაკ ობამას თეთრ სახლში მოსვლა ყველაფერზე ახდენს გავლენას და საგარეო პოლიტიკისადმი მისმა განაზღვრულმა მიდგომამ რუსეთის, როგორც ეროვნებათშორისიანტი-ამერიკული წინააღმდეგობის ლიდერის მიმზიდველობა შეამცირა. ახლა, როდესაც დედამიწაზე მრავალპოლარული წესრიგი დამყარდა, რუსეთს სიხარულზე მეტად, შიშის საფუძველი აქვს. მსოფლიო ფინანსური კრიზისი, რომელიც ამჟამად ენერგომატარებლებსა და შემოსავლების დონის ვარდნას, შემოთვების დამატებითი საფუძველია, რადგან ის ასუსტებს რუსეთის ეკონომიკას და მის საინვესტიციო მიზიდველობას. 2008-2009 წელს “ბრიკ-ის (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი და ჩინეთი) ჯგუფი “ბიკ-ს პლიუს რუსეთად გადაიქცა. კრიზისმა მსოფლიოში ჩინეთის, ინდოეთისა და ბრაზილიის პოზიციისა და პერსპექტივის კონსოლიდაცია მოახდინა, მაგრამ რუსეთის შესახელმწიფოებრივი როლის გრძელვადიან პერსპექტივაზე, მხოლოდ დამატებითი ეჭვები გააჩინა.

ევროკავშირის თავისუფალი ბაზანი

რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, კერძოდ კი მისი აქტიური დიპლომატიური ქმედებების წყალობით, ევროკავშირისადმი ნდობის რეიტინგი გაიზარდა. მან შესძლო ამ ფეთქებადსაშემ სიტუაციაში ურთიერთთანხმობის შენარჩუნება, მისი როგორც შუამავლის პოზიცია განამტკიცა და ომის დასრულებისთანავე კავკასიაში და მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეში უფრო აქტიურად და თვალსაჩინოდ განთავსდა. მაგალითად, “აღმოსავლური პარტნიორობა“-ის შეთავაზება ექვსი პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკისთვის დიდწილად ომის საპასუხო ნაბიჯი იყო.

მაგრამ კავკასიაზე ევროკავშირის პასუხისმგებლობის გაზრდა, ასევე სერიოზულ რისკებთანაა დაკავშირებული, რადგან დღევანდელ დღეს კავშირს არც სამუშაო სტრატეგია და არც საზოგადოებრივი მხარდაჭერა რეგიონის პრობლემებში უფრო ღრმად ჩართვისთვის არ გააჩნია. ბრიუსელის ან სხვა ცალკეული წევრი-ქვეყნების მხრიდან იმის დაჯერება, რომ ევროკავშირი კავკასიაში ბალკანეთის სტრატეგიას გაიმეორებს, ილუზიაა. ქართველების დაჟინებული განცხადებები, რომ შეერთებული შტატები ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას

შეუერთდეს, ბრიუსელს კრიტიკული არჩევანის გაკეთებას აიძულებს: ის ან “დამოუკიდებლად იმუშავეს საქართველოსთან,” რითაც რუსეთთან დაძაბულობას შეამცირებს, ან კავკასიაში ტრანს-ატლანტიკურ სტრატეგიას გამოიყენებს.

ნამდვილი მოგებულები

ისინი, ვინც რუსეთ-საქართველოს ომის გამო აშკარად მოიგეს, ყოველ შემთხვევაში დღეისთვის, ჩინეთი და თურქეთი არიან. ჩინეთმა ამ ომით ისარგებლა, რათა პოსტ-საბჭოთა სივრცეზე მისი ეკონომიკური გავლენის ბერკეტები პოლიტიკურ გავლენად ექცია. სწორედ ჩინეთი იყო ის ქვეყანა, რომელმაც ფაქტობრივად გაამხნევა პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკები არ ელიარებინათ სამხრეთ-ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა და მოსკოვის ზეწოლას შეწინააღმდეგებოდნენ. ომის და გლობალური ეკონომიკური კრიზისის ნაზავმა, შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაცია (შთო) იმ ჯგუფიდან სადაც მოსკოვი ბატონობდა, გადააქცია ჯგუფად, სადაც წამყვანი ქვეყანა ჩინეთია.

თურქეთი ომიდან დამოუკიდებელი რეგიონალური სახელმწიფოს როლში გამოვიდა, რომელსაც აქვს იმის სურვილიც, შესაძლებლობაც და ლეგიტიმურობაც რომ რეგიონის თითქმის ყველა კონფლიქტში შუამავლის როლი ითამაშოს. თურქულ-სომხური ურთიერთობების დათბობა ამ ომის ერთ-ერთი ყველაზე პოზიტიური თანმდევი ეფექტია.

აღსანიშნავია, რომ ანკარას “რბილი ძალა” მოსკოვური ვერსიისგან განსხვავებით დასავლეთთან წინააღმდეგობაზე კი არ არის აწყობილი, არამედ დასავლური მოდელის წარმატებულ ადაპტაციაზე, საკუთარი პოლიტიკური ხასიათის შენარჩუნებასა და საკუთარი სუვერენიტეტისა და ეროვნული ინტერესების დაცვაზე. თავის რეგიონალურ პოლიტიკაში თურქეთი ძალიან გონივრულად იყენებს მის მრავალრიცხოვან არსობრივ შემადგენლებს - მუსულმანურ დემოკრატიას, საერო მუსულმანურ რესპუბლიკას, ევროკავშირის წევრობის კანდიდატობას, აშშ-ს სტრატეგიულ პარტნიორობას, მაგრამ ის იმედროულად მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც საკუთარი პოზიციის დაცვისთვის ყოველთვის მზადაა.

სახელმწიფოს შენების დილემა

რუსეთ-საქართველოს ომმა აჩვენა, იმისთვის რომ ევროპის უსაფრთხოების გასაღები გამოვიცნოთ, უნდა გავიგოთ სახელმწიფოს მშენებლობის მრავალფეროვანი და რთული პროცესების ლოგიკა, რაც ერთდროულად მთელ ევროპიაში მიმდინარეობს. 1990-იანი წლების და შემდგომი ევროპა ამ კონტექსტში 1960-იანი წლების აფრიკას მოგაგონებთ. კონტინენტი სახელმწიფოს მშენებლობების უზარმაზარ მოედნად გადაიქცა. ამ ხნის

“ვერაფინ იმდენი ვერ ვეაფნო, ვერც მუსულმანურმა სამყარომ, ვერც მონღოლებმა, სარსებმა, არაბებმა თუ თურქებმა, რამდენიც “ნათესაურმა”, ერთმორწმუნეობრივმა კავშირმა რუსულ კულტურასთან და ეკლესიასთან.”

*მერაბ მამარდაშვილი
ფილოლოგი*

განმავლობაში უკრაინა, საქართველო და ბელორუსი სუვერენული ნაციონალური სახელმწიფოების აშენებას ცდილობდნენ, ვეროკავშირი - საკუთარი პოსტ-მოდერნისტული იმპერიის აშენებას, რუსეთი კი ძველებურად საკუთარ ისტორიაში პირველი ნეომპერიალისტური სახელმწიფოს მშენებლობის პროცესშია. სახელმწიფოების მშენებლობის ყველა ეს მცდელობები ძალიან სარისკოა და პრობლემები გარდაუვალია. ყველა ამ პროცესს თავისი ლოგიკა და მთელი რიგი დაუგეგმავი შედეგები მოსდევს.

2000 წელს, თითქმის მთელი რეგიონის მასშტაბით პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკების ელიტა მოსკოვის არაენთუზიასტ კლიენტებად ან მის მკვეთრ მოწინააღმდეგებად, ტიტოსმსგავს პრაგმატიკოსებად გადაიქცნენ, რომლებიც გონივრულად იყენებენ რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებულ დამაბულობას, რათა სახელმწიფოების მშენებლობის საკუთარი პროექტები განამტკიცონ და გაზარდონ საკუთარი ძალაუფლება.

ამ სახელმწიფოებრივი პროექტების მრავალშრიანმა ლოგიკამ სუვერენიტეტზე სამი განსხვავებული მოსაზრება გააჩინა.

პირველი - უფრო პატარა პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკები სუვერენიტეტს იურიდიულ ტერმინებში განიხილავენ, ისინი მსოფლიო თანამეგობრობაში სამოქალაქო ერების თანასწორობას უსვამენ ხაზს.

მეორე - რუსეთი სუვერენიტეტს არა იურიდიულ ცნებად, არამედ შესაძლებლობების პრობლემად განიხილავს, ეს დამატებით გულისხმობს სამხედრო ძალის, ნაციონალური ეკონომიკის და კულტურული იდენტობის არსებობას რაც იმაზე მინიშნებაცაა, რომ სუვერენიტეტის უფლება მხოლოდ დიდ სახელმწიფოებს აქვთ.

მესამე - ვეროკავშირი სუვერენიტეტს განიხილავს როგორც “ადგილსმაგიდასთან,” პოლიტიკურ ბილეთს საერთო ინტერესების მქონე თანამეგობრობაში მოსახვედრად. სუვერენიტეტის ამ იდეებს შორის სხვაობის გაგება, ვერაზიის პოლიტიკაში ბევრი არასწორი ვარაუდის ამოცნობის საშუალებაა.

ეს ლოგიკა თავის მხრივ გასამბაგებულ წინააღმდეგობებშია ხორცშესხმული, რომლებიც მიმდინარე ვეროკავშირი არასტაბილურობის ცენტრშია, რაც შემდეგში მდგომარეობს: სუსტი და არასწორად

ფუნქციონირებადი სახელმწიფოების გავრცელება. ის ფაქტი, რომ რუსეთი საკუთარი უსაფრთხოების აუცილებელ პირობად რეგიონზე კონტროლს მიიჩნევს და ის ფაქტიც, რომ პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების ელიტა საკუთარი სახელმწიფოების მშენებლობის მნიშვნელოვან საშუალებად ანტი-რუსულ განწყობებს თვლიან.

რუსული რევიზიონიზმის წყაროები

შარშანდელი ომის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი რუსეთის მიერ საკუთარი რევიზიონისტული სტატუსის ურცხვი დადასტურებაა. რუსული რევიზიონიზმი რეალობაა, მაგრამ ის არ გამომდინარეობს აღორძინებისა და მოსკოვის იმპერიული ამბიციებიდან.

მოსკოვს სულ უფრო აკლდება საკუთარი თავის რწმენა და კრემლის რევიზიონიზმიც აქედან მოდის. სწორედ იმ დროს, როდესაც კრემლი შეეცადა მოსკოვისთვის მსოფლიო წესრიგში მისი როლი დაებრუნებინა, რუსეთმა საკუთარი მოწყვლადობა აღმოაჩინა.

იმავედროულად, ვლადიმერ პუტინის რუსეთს, ტერიტორიული დაშლისა და მსოფლიოში მისი მნიშვნელობის დაკარგვის ეშინია. ორივე ეს შიში კანონზომიერია. პრობლემა ისაა, რომ რუსეთი მზად არაა ან არ შეუძლია ისინი დასავლეთთან დიალოგში გამოხატოს, რადგან კრემლის აზრით შიშებზე საუბარი შესაძლოა სისუსტედ იქნას აღქმული. კრემლის მიმდინარე საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა, რადგან რუსეთი ძლიერი არ არის, მისი სისუსტის დემონსტრირება მაინც არ მოხდეს. როგორც ვლადიმერ პუტინმა სთქვა - “რუსეთი ან ზესახელმწიფო იქნება, ან საერთოდ არ იარსებებს.” ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია ის სამი წყარო, რომელთა გამოც რუსეთი საკუთარ თავში არ არის დარწმუნებული.

პირველი - პუტინის რუსეთი, როგორც სტალინის საბჭოთა კავშირი და რუსეთის იმპერია, მარტივად დასაცავი საზღვრების ძებნითაა შეპყრობილი. უზარმაზარმა ბირთვულმა არსენალმა რუსეთს სუპერ-სახელმწიფოს სტატუსი შესძინა, მაგრამ უსაფრთხოება არ შეჰმატა.

მეორე - საკუთარ თავში რწმენის არქონა პუტინის თაობის განმსაზღვრელი მახასიათებელია, რაც

კრემლის ქმედებების გასაგებად აუცილებელია. პუტინის თაობა საბჭოთა კავშირის ნგრევით ჩამოყალიბდა. რუსული ელიტა გაჟღენთილია ამ თითქმის მისტიკური განცდით. აბსოლუტური უსაფრთხოების ძიებაში პუტინის ელიტა თითქმის არარაციონალურად იქცევა.

მესამე - მოსკოვი თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ბუნებას, რომელიც მზარდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთდამოკიდებულებასზეა აგებული, სერიოზული ეჭვით უყურებს. სწორედ საკუთარ თავში რწმენის არ ქონის განცდა, რომელსაც ელიტაც და საზოგადოებაც იზიარებენ, რუსეთის მსოფლმხედველობას აყალიბებს.

ევროკავშირის გაურკვევლობის წყაროები

ევროკავშირის პრობლემა არა საკუთარი თავის რწმენის დეფიციტი, არამედ გაურკვევლობაა: გაურკვევლობა საკუთარ როლზე მსოფლიოში და იმ მოდელის მოძაღვზე, რომელსაც ის წარმოადგენს. ახლა, როდესაც რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, ევროკავშირი კავკასიაში პოლიტიკური მოთამაშე გახდა, ძალიან მნიშვნელოვანია მის წინაშე არსებული დილემის ახსნა. ევროკავშირი რამდენიმე ცეცხლს შუა აღმოჩნდა: ის ღია უნდა დარჩეს ახალი წევრებისთვის (მისი “რბილი ძალის” არსი ამაში მდგომარეობს), პოლიტიკური ზეწოლით უნდა განსაზღვროს “ევროპის საბოლოო საზღვრები და კარი დახუროს (ეს მისი მოქალაქეების უმრავლესობის სურვილია). ევროკავშირი ისტორიულ კვანძში გაება, სადაც მისი გაფართოების წარმატება მისი მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობას აწყდება.

ბერძენმა დიპლომატმა და პოლიტოლოგმა ალექს რონდოსმა ევროკავშირის დილემა შესანიშნავად აღწერა, აღნიშნა რა რომ ამერიკასა და ევროპას შორის სხვაობა ისეთივეა, როგორიც სხვაობა მისიონერს და მონაზონს შორის, როდესაც მისიონერი სამყაროში მოგზაურობს და თავის რწმენაზე მაქსიმალურად ბევრი ადამიანის მოქცევას ცდილობს, მონაზონს კი სურს სამყარო თავის მონასტერში შეიყვანოს. ამერიკა მისი მისიონერული მგზნებარების გარეშე ამერიკა არ იქნებოდა, მაგრამ ევროკავშირი თავის იდენტობას დაკარგავს თუკი ახალბედებს მონასტერში შესასვლელ კარს დაუხურავს.

ევროკავშირის გაურკვევლობის კიდევ ერთი წყარო გეოპოლიტიკური კონტექსტის ცვალებადი ბუნებაა. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ბოლო წლებში ევროპა ამერიკის ერთპოლარული სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ კრიტიკოსად იქცა, რეალურად ამერიკულ სამყაროს ევროპული პროექტისადმი საკმაოდ გულთბილი დამოკიდებულება აქვს, ამასთანავე ევროკავშირმა ამერიკული ერთპოლარულობისგან ბევრი რამ მოიგო. ამერიკული ჰეგემონიის წყალობით, ევროკავშირი მსოფლიოს

სცენაზე დიდ სუპერსახელმწიფოდ წარსდგა. ამერიკის მიერ შეთავაზებული უსაფრთხოების ქოლგამ, ევროკავშირის საშუალება მისცა მსოფლიო ზესახელმწიფო გამხდარიყო რეალური სამხედრო სიძლიერის მოპოვების გარეშე.

ახლა ეს ყველაფერი შეიცვლება. სამყარო, რომელიც ჩვენ ვიცოდით, გაქრა. ამერიკის ჰეგემონია დასრულდა და ევროპას ახალი და ნაკლებად გულთბილი სამყაროს პირისპირ მოუწევს ყოფნა. ახალ პოსტ-ამერიკულ სამყაროში, საერთაშორისო სცენაზე, როგორც სჩანს ტრადიციული, მე-19 საუკუნის მსოფლმხედველობის მქონე ზესახელმწიფოები იბატონებენ, რომელთა წარმოდგენებიც ბრიუსელის კონსესუსისგან ფუნდამენტურად განსხვავდება. მე-19 საუკუნის მსოფლმხედველობის დაბრუნება ევროპას მსოფლიო სცენაზე იძულებით მოთამაშედ აქცევს და კიდევ უფრო ხაზს უსვამს მის გაურკვეველ დამოკიდებულებას გარე სამყაროსა და მასში საკუთარი თავის როლისადმი.

დაკრძალვის შემდეგ

რუსეთ-საქართველოს ომის შეფასებისას, ჩვენ ერთ კითხვას უნდა გავცეთ პასუხი: გაძლევს კი ამ ომის შემდეგ დაბადებული სამყარო უკეთეს შანსს ლეგიტიმური და სამართლიანი ევროპული წესრიგის შესაქმნელად, თუ პირიქით, ის ამ წესრიგის მიღწევას ნაკლებად შესაძლებელს ხდის? ამ კითხვაზე ორი შესაძლო პასუხი არსებობს: უკიდურესად პესიმისტური და ზომიერად ოპტიმისტური.

პესიმისტები იმის მტკიცებას დაიწყებენ, რომ რუსეთ-საქართველოს ომის უმნიშვნელო მოვლენად გადაქცევით, დასავლეთი კრემლს ახალისებს მისი “წარმატება” პოსტ-საბჭოთა სივრცის სხვა ადგილებშიც გაიმეოროს - და ამით ევროპულ წესრიგზე იმედებს ილუზიად აქცევს.

ოპტიმისტები უფრო იმ მოსაზრებისკენ იხრებიან, რომ რუსეთ-საქართველოს ომით ერთდროულად ორი პროექტი ჩაიშალა: რუსეთის მცდელობა ევროპაში გავლენის სფეროების პოლიტიკა აღედგინა და დასავლეთის მცდელობა აემუნებინა ევროპა რუსეთის გარეშე.

თუკი პესიმისტები მართლები არიან, ჩვენ ხანგრძლივი დამის ადრეულ სტადიაში ვიმყოფებით. თუკი ოპტიმისტების მოსაზრებაა სწორი, ამ ორი პროექტის გარდაცვალება იმას ნიშნავს, რომ დღეს სწორედ ის დროა, რომ მესამე პროექტის შემუშავებაზე დავიწყოთ ფიქრი.

www.foreignpress.ge

სტალინის მონუმენტი-ბერლინის კედლის ნაწილი?

“ჩამოკვარცხლებელი სოსელი” — სწორედ ეს წარწერა გაუკეთა გორელი სტუდენტების ჯგუფმა სტალინის ძეგლს რამდენიმე დღის წინ, გორში პომპეზურად აღნიშნული ომის წლისთავიდან მეორე დღეს. აქციის იდეა, მის რეალობად ქცევამდე რამდენიმე დღით ადრე გაჩნდა საქართველოში პოპულარულ საიტ “ფეისბუქის” მომხმარებლებს შორის და მალე ხორციც შეესხა. ამ იდეისადმი სოლიდარული ადამიანები გორში თბილისიდანაც ჩამოვიდნენ. ზოგმა ტრანსფერანტები გაშალა, ზოგმა კი ჩრდილში დარჩენა და თვალის შორიახლოდან დევნება არჩია.

ოცი სტუდენტის აქციას და განსაკუთრებით გორელებისთვის მგრძობიარე თემაზე შეხებას ინციდენტების გარეშე არ ჩაუვლია. აქციის მონაწილეებს ავტომანქანების მძღოლებიც გამოეხმაურნენ, ოღონდ ავტომანქანის გაჩერებისა და იქიდან გადმოსვლის გარეშე — სიტყვიერად მოუწოდეს ისტორია ესწავლათ ახალგაზრდებს. კონკრეტულად რა ისტორიას გულისხმობდნენ, ბუნებრივია არ დაუკონკრეტებიათ. სტუდენტებმა არც ის იციან, ამაში გულისხმობდნენ კომპარტიის, საბჭოთა კავშირის, თუ საქართველოს ისტორიას. რაც შეეხება წარწერას “ჩამოკვარცხლებელი სოსელი”,

ეს აქციის დასრულებიდან რამდენიმე წუთში მოცილდა ძეგლს. ადგილობრივი კომუნისტური პარტიის ლიდერმა, ალექო ლურსმანაშვილმა ჯერ აქციის მსვლელობის დროს სცადა ამ სიტყვების ძეგლიდან წაშლა, შემდეგ კი ბენზინში დასველებული ჩვარი მოიტანა და ჩამორეცხა წარწერა. “რაც შეეხება სტუდენტების აზრს, ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ. დემოკრატიის უმაღლესი გამოხატულება ისაა, რომ ჩვენ განსხვავებული აზრი უნდა მოვისმინოთ, მაგრამ გაეზიარებთ მას თუ არა, ამას გადაწყვეტს იმ მოსახლეობის უმრავლესობა, რომელიც გორში ცხოვრობს,” — აცხადებს ალექო ლურსმანაშვილი.

უნდა ითქვას, რომ ძეგლის აღება-არ აღებასთან დაკავშირებული მოსაზრებები მკვეთრად არაერთგვაროვანია. ერთნი სტალინს, როგორც დიქტატორს და სისხლისმსმელს აღიქვამენ, მეორენი კი მას უნიჭიერეს მთავარსარდლად და სახელმწიფო მმართველად მიიჩნევენ და მეტი კონკრეტულობისთვის, დასძენენ, რომ სწორედ ასეთი მმართველი სჭირდება დღეს საქართველოს. თემის განხილვას იმდენად ღრმა ხასიათი მიეცა, რომ ამისთვის რადიო “თავისუფლების” საიტმა მის მომხმარებლებს “ფართიკ” კი დაუთმო. სწორედ აქ შეგიძლიათ გაეცნოთ და მონაწილეობა მიიღოთ დისკუსიაში ამ საკითხზე, ასევე ჩაერთოთ გამოკითხვაში და დააფიქსიროთ, სად გირჩევენიათ იხილოთ სტალინის ძეგლი: იქ, სადაც ის ამჟამად არის; საჭიროა მისი

განადგურება; უპრიანია მისი გადატანა მუზეუმის ტერიტორიაზე თუ საერთოდ სხვაგან. პასუხის გაცემა ვისაც გაუჭირდება, მათთვისაც არის შესაბამისი ლილაკი, თუძცა უნდა ითქვას, რომ ამ დრომდე იგი გამოკითხულთა მხოლოდ 1,3%-მა გამოიყენა. უმრავლესობა ამ დრომდე მხარს უჭერს ძეგლის მუზეუმის ტერიტორიაზე გადატანას, რომელიც ასევე გორში, ძეგლიდან 200 მეტრის მოშორებითაა.

სტალინის ძეგლის კვარცხლბეკიდან მოხსნას ასევე მხარს უჭერს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი ნიკოლოზ რურუა. იგი მიიჩნევს, რომ საკუთარ ისტორიას ვერ წაშლი და ეს არცაა საჭირო, უბრალოდ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას.

რადიო “თავისუფლების” ჟურნალისტმა გოგა აფციაურმა ასევე გააზრცელა საინტერესო კადრები, სადაც ჩანს, რომ გორში ერთ-ერთი აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლის რექტორი, რომელიც ამავდროულად ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ადგილობრივი ლიდერიცაა, მიდის სტალინის მუზეუმში, დგება სტალინის ძეგლის წინ, იწერს პირჯვარს და უყვება სხვადასხვა ამბავს, ელაპარაკება.

აქციის ორგანიზატორი სტუდენტები კი ამბობდნენ,



21 აგვისტოს, ღამით სტალინის ძეგლი უცნობ პირებს წითელი ფერის საღებავით გაუწუწუვთ.

რომ გორის ყველა მაცხოვრებელი ასე არ ფიქრობს და უბრალოდ სირცხვილია გააღმერთო ის ადამიანი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის მტერი იყო, ანდა უბრალოდ, პატივი სცე მას. ისინი სტალინის ჰიტლერის მსგავს პოლიტიკურ მოღვაწედ განიხილავენ.

“მოაშორეთ აქედან საქართველოს სირცხვილი”, “სტალინის ძეგლი გორში იგვევა, რაც ჰიტლერის ძეგლი იერუსალიმში” და სხვა მსგავსი ტრანსფატარენტებით გამოვიდნენ სტუდენტები გორში. ისინი ამბობდნენ იმასაც, რომ სტალინი რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის, პუტინის იდეური მამაა. აქციის მონაწილეებს ზოგიერთი გამვლელი იმას უმტკიცებდა, რომ სტალინის ძეგლის ხელის ზღება არ შეიძლება იმის გამო, რომ იგი გორელი იყო და ძღვევამოსილი იმპერია შექმნა.

“ბერლინში ნახავთ ჰიტლერის ძეგლს? ვერ ნახავთ იმის გამო, რომ გერმანელებს რცხვენიათ მესამე რაიხის, რცხვენიათ ჰოლოკოსტის, დახოცილი ებრაელებისა და ბოშების. სტალინმა გაცილებით მეტი ადამიანი დახოცა, გაცილებით მეტი ადამიანი მოათავსა საკონცენტრაციო ბანაკში. ახლა მე გეკითხებით თქვენ, რატომ უნდა ვიამაყოთ სტალინით იმგვარად, რომ მის სიცოცხლეში ქალაქის ცენტრში აღმართული ძეგლი შევინარჩუნოთ? იქნებ ამგვარი სიამაყის შედეგია ის, რომ ყველა ჩვენგანში პატარა

სტალინი ცოცხლობს, რომელიც გვაიძულებს იმას, რომ არ შევიწყნაროთ განსხვავებული აზრი, კრიტიკულად განწყობილ ჟურნალისტს დაეხვდეთ და ფიზიკურად გაუუსწორდეთ. დევნა განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანის მიმართ სხვა არაფერია, თუ არა მსუბუქი სტალინური მეთოდი. რატომ არ შეინარჩუნეს გერმანელებმა ჰიტლერის მონუმენტი გერმანიაში, არ ფიქრობდნენ საკუთარ ისტორიაზე? გერმანელებმა ეს გააკეთეს იმისთვის, რომ არ წახალისებინათ ნეოფაშიზმი. გერმანიაში საჯარო ადგილას მესამე რაიხის ჰიმნის სიმღერაც კი აკრძალულია. არამც თუ ჰიტლერის ძეგლს ვერ აღმართავს გერმანიაში ვინმე, ჰოლოკოსტის არსებობის უარყოფა ან გამართლება კი დანაშაულად ითვლება იქ. ახლა წარმოიდგინეთ, იგივე კანონი რომ მოქმედებდეს საქართველოში, რამდენ ადამიანს დაეკისრება მინიმუმ სისხლის სამართლებრივი ჯარიმები იმ საფუძველზე, რომ ისინი ამართლებენ 1937 წელს. თუმცა უნდა ითქვას, რომ სტალინს 1937 წელზე უფრო მასტმბური რეპრესიები აქვს ჩატარებული. გერმანიის მაგალითზე იმედია გიპასუხეთ შეკითხვაზე: ცივილიზებულ სამყაროში აცოცხლებენ თუ არა ძეგლები დესპოტურ რეჟიმებს?” — ამბობს გიორგი გოცირიძე, აქციის ერთ-ერთი მონაწილე.

ნინო დალაქიშვილი

ქართული

ქართული მხედარეთმთავრები

მეფე დავით IV

ადმინისტრაციული

გაგრძელება

(დასაწყისი მე-3 ნომერში)

1106 წელს დავით მეფემ დაიწყო თავისი აღმშენებლობითი მოღვაწეობის გვირგვინის – გელათის მონასტრის მშენებლობა. „მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა ადგილსა ყოვლისა შუენიერისა და ყოვლითურთ უნაკლოსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცაი გარდაათხია ტაძარი ყოვლადწმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა“. დავითმა მონასტერს ღირსი

განძი და ომებში მოპოვებული ნადავლი შესწირა, ამასთანავე, „შემოიკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკული ყოვლითა სათნოებითა, არა თვისთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქვეყანისა კიდეთათ, სადაცა ესმა ვიეთმე სიწმინდე, სიკეთე, სისრულე, სულიერთა და ზორციელთა სათნოებითა აღსავსობა, იძია და კეთილად გამოიძია, მოიყვანა და დაამკვიდრა მას შინა“. ასე დაუდო

საფუძველი უმაღლეს სასწავლებელს – „გელათის აკადემიას“. აქ მოღვაწეობდნენ: იოანე პეტრიწი, თეოფილე ხუცეს-მონაზონი, იოანე ტარიჭის ძე, არსენ იყალთოელი. მართლმორწმუნეობისა და სიბრძნის კერა იქცა „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორე იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლულებისად, სხვად ათინაძე“.

კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ, დავითმა ქვემო ქართლზე დაიწყო შეტევა. მთლიანად ქვემო ქართლი ქალაქ თბილისითურთ თურქთა სათარეშო ასპარეზად იყო ქცეული. აქ იყო თავმოყრილი მათი დიდი ძალა და ოზრდებოდა ეს მხარე. დავითმა დაიწყო ბრძოლა ქვემო ქართლისათვის, მაგრამ არა თბილისიდან, სადაც მტრის უმთავრესი ძალები იყო. მან თბილისს სამხრეთიდან შემოუარა და 1110 წელს აიღო თურქთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენი პუნქტი ციხე-ქალაქი სამშვილდე. სამშვილდეს დაკარგვით თავზარდაცემულმა თურქებმა „უძრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტყვენეს, და ღამით მეოტ იქმნნეს, და ჩუენ თანა მოითუალნეს იგინი“.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამას მოჰყვა სულთნის ლაშქრის საპასუხო შემოსევა. თურქები შეუმჩნევლად შემოიპარნენ, მაგრამ დავითი მათ წინააღმდეგ დაუყოვნებლივ გამოვიდა და თრიალეთში მტერი დაამარცხა. ამის შემდეგ ჯერი რუსთავზე მიდგა, რომელიც 1115 წელს წაართვეს თურქებს.

ქვემო ქართლის პარალელურად დავითი საქართველოს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხეებისთვისაც იბრძოდა. 1116 წელს მან ტაოში დაბანაკებულ თურქებს შეუტია და გადარეკა საქართველოს საზღვრებიდან.

კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ საქართველო უშუალოდ დაუემხოვბლდა შარვანს. ამიერიდან შარვანის შაჰებთან ურთიერთობას დიდი ყურადღება ეთმობა დავით მეფის საგარეო პოლიტიკაში. 1116 წელს ტაოდან თურქების განდევნის შემდეგ, დავითმა “ასული თვისი კატა გაგზავნა საბერძენთს სძლად ბერძენთა მეფისად. რამეთუ პირველად ამისსა პირმშო ასული თვისი თამარი გაეგზავნა დედოფლად შარვანისა, რათა ვითარცა ორი მნათობი – ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს – ცისკროვან ჰყოფდნენ სამეფოსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდელთანი”. საქართველოს მეფის ეს ნაბიჯი მიზნად ისახავდა შარვან შაჰთან შეთანხმებას და მის გადმობრუნებას სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე ცდილობდნენ შარვან შაჰების გადაბრუნებას სელჩუკი სულთანებიც, რადგან იმ ბრძოლაში, რომელიც ქართველებსა და სელჩუკებს შორის მწიფდებოდა, შარვანის პოზიციას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. როგორც ჩანს, დავითმა შარვან შაჰი საბოლოოდ მაინც ვერ გადმოიბირა და 1117 წლიდან

მის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. უ შ უ ა ლ ო დ შ ა რ ვ ა ნ ს ე გა ლ ა შ ქ რ ე ბ ა მ დ ე დ ა ვ ი თ მ ა და ი ჰ ყ რ ო ჰ ე რ ე თ ი ს ც ი ხ ე - ქ ა ლ ა ქ ი გ ი შ ი , რომელიც თურქთა მოკავშირეობით ინარჩუნებდა საქართველოს მეფისგან დამოუკიდებ-



ლობას. ამით დამთავრდა ჰერეთის შემოერთება.

ჰერეთის საბოლოოდ შემოერთების შემდეგ დავით აღმაშენებელმა უკვე შარვანს შეუტია, სადაც თავისი ძე – დემეტრე გაგზავნა, რომელმაც აიღო ციხე-ქალაქი ქალადორი და უკან ძლევა მოსილი დაბრუნდა.

1118 წელს დავით მეფე რახსის ნაპირზე დაბანაკებულ თურქებს დაესხა თავს და დაამარცხა. იმავე წელს აიღო მან ციხე-ქალაქები ლორე და აგარანი, რითაც დაამთავრა ქვემო ქართლის შემოერთება.

1118-1119 წლებში დავით აღმაშენებელმა კიდევ ერთი სამხედრო რეფორმა გაატარა. მან ჩრდილო კავკასიიდან 40 000 ყივჩაღის ოჯახი გადმოასახლა საქართველოში. გადმოსახლებულ ყივჩაღებს მისცეს მიწის ნაკვეთები, საზაფხულო და საზამთრო საძოვრები, უზრუნველყვეს ეკონომიკურად, რის სანაცვლოდ ყოველ ოჯახს ერთი შეიარაღებული მოლაშქრის გამოყვანა დაევა. ყივჩაღთა 40 000 მოლაშქრე მთლიანად მეფეზე იყო დამოკიდებული და არ იყო დაკავშირებული ფეოდალთა კლასთან. ეს დიდ უპირატესობას ანიჭებდა მეფეს, ამიერიდან საქართველოს მეფე ნაკლებად იყო დამოკიდებული ფეოდალურ ლაშქარზე.

დავითის არჩევანი ყივჩაღებზე შეჩერდა იმის გამო, რომ ისინი საქართველოში კარგ მეომრებად იყვნენ ცნობილნი. დავითმა “უწყოდა კეთილად ყივჩაღთა ნეთესავისა სიმრავლე, და წყობათა შინა სიმხნე, სისუბუქე და მიმოსვლა სიფიცხე მიმართებისა”. ამას გარდა, დავითს ცოლად ჰყავდა ყივჩაღთა მთავრის ასული, რაც ხელს უწყობდა სიძე-სიმამარს შორის შეთანხმებას.

დავითმა საქართველოს სახელმწიფო ლაშქარი გასტუმრების ახალ წესზე გადაიყვანა. მანამდე ხდებოდა სამხედრო ალაფად მოპოვებული ნადავლის განაწილება მოლაშქრეთა შორის. დავითმა ეს აკრძალა და სამაგიეროდ ლაშქარს სახელმწიფო ისტუმრებდა “ულუფითა და სარგოთი” ანუ ჯამაგირით.

1120 წლის თებერვალს დავითმა აიღო შარვანის ქალაქი ყაბალა, დაბრუნდა ქართლს, შეკრიბა ახალი ძალები და მაისში შარვანის შიდა ტერიტორიების დასარბევად გაემართა. როგორც ჩანს, დავითმა ამასთანავე შარვანის წინააღმდეგ აამხედრა დარუბანდის მმართველი. შარვან შაჰსა და დარუბანდელს შორის ბრძოლაში შარვან შაჰი მოკლეს და ამის შემდეგ, შარვანის ტახტზე საქართველოს მეფის სასურველი კანდიდატი ავიდა, რომელიც საქართველოს მეფის ერთგული იყო.

ყოველმხრივ განიმტკიცა რა მდგომარეობა, დავითი 1120 წელს თურქთა წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა.

დავითის ისტორიკოსი მის ერთ-ერთ საბრძოლო ხერხს გვამცნობს: მეფეს, თურქთა მსტოვარნი “ზედა ადგიან” და “ეძებდიან გზათა მისთა”, სელჩუკთა სიფხინლის მოღუნების მიზნით, დავითი გადადის დასავლეთ საქართველოში, მისი სიშორით გულდამშვიდებული მტერი იწყებს საქართველოს საზღვრების რბევას, რის შემდეგაც მეფე მათ ზამთარში მოულოდნელად თავს ესხმის და ამარცხებს. შეიძლება ითქვას, რომ 1120 წლიდან იწყება შეუსვენებელი ბრძოლა თურქთა წინააღმდეგ.

ერთი წლის განმავლობაში, 1120 წლის თებერვლიდან 1121 წლის ივნისამდე ბრძოლა არ შეწყვეტილა. თურქ-სელჩუკები თავიანთ პოზიციებს თავგამოდებით იცავდნენ საქართველოს მისადგომებთან და ქართველებიც გამუდმებული იერიშებით ერეკებოდნენ მტერს საყრდენი პუნქტებიდან. ამასთანავე, საქართველოს მეფე ენერგიულად უტევდა და ავიწროებდა დიდ ქალაქებს.

ქართული და არაბული წყაროების ცნობით, საქართველოს წინააღმდეგ სულთნის განკარგულებით კოალიციური ლაშქრობა მოეწყო ნეჯემ ედ-დინ ილ-ლაზის მეთაურობით. თურქთა მხედრობას თბილისის თურქთა გარნიზონიც შეუერთდა და სელჩუკთა ლაშქარი საქართველოში მანგლის-თრიალეთის გზით შემოვიდა. 1121 წლის 10 აგვისტოსთვის, როგორც ვარაუდობენ, მტრის დაახლოებით 300 000-იანმა ლაშქარმა თავი მოიყარა მანგლის-დიდგორში. თურქთა ლაშქრის აქ განლაგება განპირობებული იყო საქართველოში სელჩუკთა ბატონობის აღდგენისა და თბილისის გამაგრების მიზნით. მეფის ერთ-ერთი რეზიდენცია დიდგორში იყო; აქედან იკეტებოდა გზა ქართლის შუაგული რაიონებისა და თბილისისაკენ.

დავითმა ბრძოლის ველზე 40 000 ქართველი მოლაშქრე გამოიყვანა, 15 000 ყოჩაღი, აგრეთვე ოსთა დაქირავებული 500 კაციანი რაზმი და დაახლოებით 100 “ფრანგი” (ჯვაროსანთა რაზმი). როგორც ჩანს, ამ მნიშვნელოვან ბრძოლაში გამარჯვების მთავარი იმედი დავითმა საკუთრივ ქართულ ლაშქარზე დაამყარა. რაც შეეხება ჯვაროსანთა

რაზმის მონაწილეობას ამ ბრძოლაში, გარდა წმინდა სამხედრო მნიშვნელობისა, გარკვეული სიმბოლური და პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა.

ქართველთა ლაშქარი ნიჩბისის ხეში დაბანაკდა. დავითმა უკან დასახევი გზა ჩახურგა. ლაშქრის ძირითად ნაწილს, რომელსაც ბრძოლა პირველს უნდა მიეღო, დავითი სარდლობდა, დანარჩენი ნაწილი დავითის ვაჟის – დემეტრეს სარდლობით, მთას იყო ამოფარებული და მოულოდნელად, მტრისთვის იქედან უნდა დაერტყა.

დავითმა ბრძოლის დაწყების წინ ლაშქარს სიტყვით მიმართა; სამშობლოს დასაცავად თავგანწირული ბრძოლისკენ მოუწოდა და უკან დახევის შესაძლებლობების არქონაც შეახსენა.

ბრძოლის დაწყებას საისტორიო წყაროები განსხვავებულად გადმოგვცემენ. სელჩუკებმა თავის ნაცად ხერხს მიმართეს და ფსიქიური ზემოქმედების მოსახდენად ხმაური ატეხეს. დიდი მხედართმთავარი დავითი თავის მოლაშქრეებს ამშვიდებდა და მტრის მოახლოებას ელოდა. დავითმა ტაქტიკურ ხერხს მიმართა, ბრძოლის დაწყების წინ ქართველთა მხირდან 200 მხედარი მტრის ბანაკისკენ გაემართა. მაჰმადიანებს ისინი მოლაღატეები ეგონათ და თავის ბანაკში შეუშვეს, სადაც მათ ერთბაშად ბრძოლის ყიჟინა დასცეს. მტრის ბანაკში არეულობა დაიწყო. ამ დროს საქართველოს ლაშქარმა მტერს ორი მხირდან შეუტია – დასავლეთიდან დავითი, ხოლო დიდგორის მთიდან დემეტრე გადავიდა შეტევაზე.

სისხლისმღვრელი ბრძოლა სამ საათს გაგრძელდა. მტერი შედრკა და გაიქცა.

ქართველებმა დიდგორის ველზე 12 აგვისტოს ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

დავით მეფე არ დაკმაყოფილებულა ბრძოლის ველზე მოპოვებული გამარჯვებით. ქართველებმა ფეხდაფეხ სდიეს უკუქცეულ მტერს და უკვე მათ მიერ დაკავებულ მიწა-წყალზე ანადგურებდნენ მტრის უკანასკნელ რაზმებს. თურქ-სელჩუკთა ზარალი საგრძნობი იყო. ქართველებმა შედარებით მცირე მსხვერპლით შეძლეს ამ დიდი წარმატების მოპოვება. უდიდესი იყო ნადავლი იარაღ-საჭურველის, ძვირფასი ნივთების, ტყვეების, სამხედრო დროშებისა და სხვა სახით, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქალაქ ჰილას მბრძანებლის, ქართული წყაროების მიხედვით “არაბთა მეფის”, ღუბეის სადაყასძეს ძვირფასი ქვებით მოჭედილი და მისი სიძლიერის სიმბოლური გამომხატველი ყელსაბამი (“ოქროს მანიაკი”), რომელიც დავითმა გამარჯვების ნიშნად გელათის მონასტერს შესწირა.

დიდგორის ველზე გამარჯვება ქართველი ხალხის თავგანწირულმა ბრძოლამ, დავითის დიდმა სამხედრო ნიჭმა, ბრძოლის ადგილისა და მტრის ლაშქრის შემადგენლობის მოხერხებულად გამოყენებამ და

ბრძოლის ტაქტიკურმა ხერხმა განაპირობა. ამ ომმა ცხადყო, რომ საქართველოს სახით მახლობელ აღმოსავლეთის მაჰმადიანურ სამყაროს სერიოზული მეტოქე გამოუჩნდა.

დიდგორის ბრძოლის შემდეგ დავითმა გეზი თბილისისკენ აიღო. ქალაქის ბედი ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო, მაგრამ თბილისის მოსახლეობა საკუთარ დამოუკიდებლობას უბრძოლველად არ თმობდა. ქართველთა ლაშქარმა დიდი ბრძოლის შემდეგ, 1122 წელს თბილისი აიღო. “აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, და დაუშკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ”. დავით აღმაშენებელმა საქართველოს სამეფოს დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადაიტანა, გააუქმა ქალაქის თვითმმართველობა და თბილისი მეფის მოხელეს დაუქვემდებარა.

თბილისის დამორჩილების შემდეგ ჯერი ქალაქ დმანისზე მიდგა. 1123 წელს დავითმა “აიღო ქალაქი დმანისი”.

დასრულდა ქართველი ხალხის ბრძოლა ქართული მიწების საბოლოო გაერთიანებისათვის. თბილისისა და დმანისის შემოერთებით საქართველომ სელჩუკთა უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტები შემოიერთა.

დიდგორის გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა საქართველოს ფარგლებს გარეთ საომარი ოპერაციების გატანა. ამის შემდეგ იწყება გადამწყვეტი ბრძოლა შარვანისა და სომხეთისათვის, ბრძოლა ჩრდილოეთ კავკასიისათვის, რომელიც როგორც სამხედრო-სტრატეგიულ, ისევე ეკონომიკურ მიზნებს ისახავდა. თუ ერთის მხრივ, სამხრეთისკენ გასვლა იყო საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დაცვა, მეორეს მხრივ, იგი სომხეთზე, დარუბანდსა და სხვა ტერიტორიებზე გამავალი დიდი სავაჭრო გზების დაუფლებას ნიშნავდა, რითაც საქართველოს გზა ეხსნებოდა მსოფლიო სავაჭრო მაგისტრალებისაკენ.

დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღებას ახლო აღმოსავლეთის სელჩუკთა მბრძანებლებმა ახალი ლაშქრობით უპასუხეს. 1123 წელს სულთანი მაჰმუდი საქართველოს მოკავშირე შარვანში შეიჭრა. სულთანმა შეიპყრო შარვან შაჰი, აიღო შამახია და დავითს შემოუთვალა: “შენ ტყვეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა, ხოლო მე ესე-რა შარვან-შაჰ შევიპყარ ხელთა და ხარაჯასა ვითხოვ. შენ თუ გენებოს, ძღუენი ჯეროვანი გამოგზავნე, და თუ გინდა სამალავთათ გამოვედ და მნახეო.”

დავით მეფემ შამახიაში დაბანაკებული სულთნის წინააღმდეგ გაილაშქრა და დაამარცხა, თუმცა აღმაშენებელმა ვერ ისარგებლა ამ მდგომარეობით, საქართველოს ლაშქარში ყოფილებსა და ქართველებს შორის არსებული უთანხმოების გამო. იგი ვერც გაქცეულ სულთანს დაედევნა და ვერც შარვანი აიღო.

ერთი წლის შემდეგ, 1124 წლის ივნისში, ხელმოკრედ ილაშქრა შარვანზე და “აიღო გულისტანი, სახლი თავადი შარვანისა, სიცხეთა მათ საშინელითა, მოირთო შარვანი და ადავსნა კეთილთა ყოველნი მორჩილნი ბრძანებითა მისთანნი”.

ამრიგად, დავითმა შარვანიდან თურქები განდევნა, მაგრამ მის შემოსამტკიცებლად მარტო ეს არ კმაროდა, საჭირო იყო ქვეყნის დაპყრობა. შარვანის მოსახლეობის ქრისტიანული ნაწილი საქართველოს მეფეს უჭერდა მხარს, ხოლო მაჰმადიანური ნაწილი სულთანს სთხოვდა დაცვას. ასეთი მოწინააღმდეგე დაჯგუფების არსებობის პირობებში შარვანის ყმადნაფიცობა დავითისთვის ურთიერთობის მისაღები ფორმა არ იყო, ამიტომ საქართველოს სახელმწიფოსთვის მტკიცე პოზიციების შესაქმნელად, დავითი შარვანში იკავებს მთავარ ციხეებს, სიკეთით ავსებს მომხრეებს და დარუბანდს ლაშქრობს. 1124 წლის აპრილში დავითი მიემართება “შაბურანს დარუბანდელთა”, ხოლო შემდეგ აიღო “შარვანისა ციხენი ღასანნი და ხაზაონდი და მიმდგომი მათი ქუეყანა”.

1124 წელს დავითი შარვანისათვის ბრძოლას განაგრძობს და აიღო “სრულად ყოველი შარვანი”. დავითმა იქ თავისი ლაშქარი ჩააყენა და თავისივე მართველები დანიშნა. “დაუტყვნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი. და განმგებლად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართუხუცესი თავისი სვიმონ, ჰყონდიდელი მთავარუპისკოპოსი, მაშინ ბედილე-ალავერდელი”.

შარვანისათვის წარმოებული ბრძოლის პარალელურად მიმდინარეობდა ბრძოლა სომხეთისთვის. 1124 წლის მაისში დავით მეოთხემ გაილაშქრა სომხეთში და აიღო “ციხენი სომხითისანი” გაგი, ტერონაკალი, ქავაზინი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი. 1124 წლის 20 აგვისტოს დავითთან მოვიდნენ ქალაქ ანისის დიდგვაროვნები და ქალაქის დაკავება სთხოვეს. დავითმა იცოდა, რომ მიუხედავად მიწვევისა, ანელი შედადიდები უბრძოლველად არ დათმობდნენ ქალაქს, ამიტომ ბრძოლისათვის სათანდოდ მოემზადა. 60 ათასიანი მხედრობით მიადგა ანისს, დაიპყრო ქალაქიც და მისი მიდამოებიც, ხოლო ანისის ამირა დაატყვევა. ანისის შემდეგ დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა ვანანდისა და არარატის პროვინციები და სელჩუკთა მიერ დაპყრობილი სომხეთის დიდი ნაწილი საქართველოს შემოუერთა.

მეფის ხელისუფლების თვითმპყრობელობისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობისა და მეფედ კურთხევის წესს.

საქართველოს მეფეები ცდილობდნენ და-

ეკანონებინათ უფროსი ვაჟიშვილისათვის ტახტის გადაცემის ტრადიცია და ამიტომ თავიანთ მემკვიდრეებს სიცოცხლეშივე თანამოსაყდრედ აცხადებდნენ და ამეფებდნენ. მეფის კურთხევის ცერემონიაში ხაზგასმული იყო მეფის ხელისუფლების დამოკიდებულება ფეოდალებისადმი, რაც თვითმპყრობელური ხელისუფლების განმტკიცების გზაზე შემდგარი მეფისთვის მისაღები არ იყო.

დავითმა თავისი ვაჟი დემეტრე თვითონ აკურთხა მეფედ – “დაადგა გვირგვინი თვით მისითა ხელითა” და თვითონ “შეარტყა წელთა ძლიერთა მახვილი”.

დავითის ღრვიდან წესად შემოდებული მეფის მიერ მემკვიდრის კურთხევა, თვითმპყრობელური ხელისუფლების გამოვლინების ერთ-ერთი თვალნათელი მაგალითი იყო.

დავით მეოთხე ხალხის წარმოდგენაში ის პიროვნება იყო, რომელმაც საქართველო საბოლოოდ გააერთიანა, ქვეყანა გაათავისუფლა დამპრობლებისაგან, ვინც მუზობელი ქვეყნები საკუთარ “ჩრდილსა ქუეშე” შეჰყარა. მისი ღვაწლი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და კულტურული განვითარების საქმეში ხალხმა ერთი სიტყვით გამოხატა და აღმაშენებელი უწოდა. დავით აღმაშენებელს ეკუთვნის მშენიერი პოეტური ქმნილება – “გალობანი სინანულისანი”.



1125 წლის 24 იანვარს 53 წლის ასაკში დავით მეოთხე აღმაშენებელი გარდაიცვალა. იმეფა 36 წელი და მისი მეფობის ხანა საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხების ისტორიაში შევიდა, როგორც დიდი გარდატეხის პერიოდი – პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის ხანა. დავით მეფე იწოდებოდა “მესიის მახვილად” და მეფედ “აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშაჰ და შაჰინშაჰ და ყოვლის აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპყრობლობით მპყრობელთა”. ქვეყნის აღმშენებელი მეფე დაკრძალეს მის მიერვე აგებულ და სამეფო საძვალედ დადგენილ გელათის მონასტერში. ქვის ფილაზე, რომელიც მონასტრის ძველ, ჩრდილოეთის შესასვლელის იატაკზეა დაგებული, ასეთი წარწერაა: “ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნიითი უკუნისამდე; ესე მთნავს: აქა დავემკვიდრო მე”.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ დავით მეოთხე წმინდანადაა შერაცხული.

მომზადებულია ტელეკომპანია „საქართველოს“ პროექტ „მთავარსარდლის“ ლიტერატურული სცენარის მიხედვით ავტორი ლევან უმიკაშვილი

შ ე ლ ი გ ი ა

მ ა წ ი ა მ ბ ა

„ყოვლადდიდებულო და მარადის ქალწულო, დედაო ქრისტეს ღმრთისაო, მიართვი ლოცვა ჩვენი ძესა შენსა და ღმერთსა ჩვენსა, რათა აცხოვნეს სულნი ჩვენნი“. ამ ლოცვით მიემართავთ ყოველ დილით მართლმადიდებელი ქრისტიანები ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს და ვთხოვთ მფარველობასა და შემწეობას. უწმინდესი ქალწული იწოდება როგორც დედად ღვთისა ასევე დედად ყოველთა ქრისტიანთა.

28 აგვისტოს მთელი მართლმადიდებლური სამყარო აღნიშნავს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინებას. ამ დღეს ქალწული მარიამი წარსდგა

თავისი ძის წინაშე და მთელმა კაცობრიობამ მისი სახით უდიდესი მეოხი და მფარველი შეიძინა. მიძინება უდიდესი დღესასწაულია. მას არ ვუწოდებთ არც სიკვდილს, არც გარდაცვალებას. ღვთისმშობელმა მიძინა და ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, თუმცა ის რჩება ჩვენს მეოხად და მფარველად. დედა ღვთისა გარდაიცვალა ადამიანივით, მაგრამ ის უფალმა თავისთან აიყვანა. როგორც ვიცით, მოსალოდნელი ნეტარი მიძინების სასიხარულო ამბავი ღვთისმშობელმა წინასწარ შეიტყო. მას მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და ამცნო, რომ მისი ზეცაში აღსვლის დრო ახლოვდებოდა და

რომ ეს მოვლენა სამი დღის შემდეგ აღსრულდებოდა. დედა ღვთისამ მშვიდად დაიწყო მზადება მიძინებისათვის, ერთად მოუხმო მოციქულებს და ასე გამოემშვიდობა მათ: „მივდივარ ჩემს ძესთან და უფალთან, ჩემს სხეულს გეთსემანიაში გადაიტანთ, იქ დაკრძალვით და თქვენზედ დაკისრებულ ქადაგებას განაგრძობთ, ხოლო თუ უფალი ინებებს, მიძინების შემდეგ ისევ მიხილავთ“. ღვთისმშობელი ყველას ანუგეშებდა და აიმედებდა, რომ ობლად არ მიატოვებდა ქვეყანას და შეისმენდა ყველას ლოცვას ვინც მას მიმართავდა. დედა ღვთისამ თავისი სხეულის დაკრძალვა გეთსემანიის გამოქვაბულში ინება, სადაც მისი მშობლები და მისი იოსებ დამწინდველი განისვენებდნენ. ანგელოზის გამოცხადებიდან მესამე დღეს, როდესაც მარიამ ღვთისმშობლის სარეცელთან გარშემომყოფი მოციქულები უფალს უგალობდნენ, მოულოდნელად სახლის ჭერი გაიღო. თვით უფალი იესო ქრისტე მოვედინა ყოვლადწმინდა დედას და ზეიმითა და ზეციური ძალების თანხლებით აიყვანა ღვთისმშობლის სული ცათა სასუფეველში. მოციქულები გახდნენ მოწმენი როგორ ავიდა ღვთისმშობლის სული უფლის ხელით. ყველა იქ მყოფი ღვთისმომშიშებით თავიანთ სცემდა ღვთისმშობლის სხეულს. მის სარეცელზე შექებით ყველა კურნებას იღებდა. მოციქულები ამქვეყნიურ განშორებას გლოვობდნენ, მაგრამ ნუგეშს სცემდათ ის აზრი, რომ ზეცაში ღვთის წინაშე მეოხი და მლოცველი მოიპოვეს.

მარიამ ღვთისმშობელმა მიძინა, რათა ნეტარი



მარადიული სიცოცხლისათვის გამოეღვიძა. ის წარდგომილია ცხოველმყოფელი წყაროს წინაშე, რათა ჩვენი სულები იხსნას მარადიული სიკვდილისაგან. მარიამობა ანუ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინება თორმეტ საუფლო დღესასწაულთა შორისაა, რადგან ამ დღეს თვით მაცხოვარი მიეგება დედას თავისას და თავის სავანეში დაასახლა იგი. მარიამ ღვთისმშობელია შუამდგომელი ღმერთის წინაშე, რათა ჩვენი სულები ლოცვით იხსნას მარადიული სიკვდილისაგან. როგორც მთავარეპისკოპოსი ზოსიმე (შოიშვილი) აღნიშნავს, ღმერთმა „ღვთისმშობელი ჩვენთვის შექმნა კიბედ, რომელმაც ზეცას უნდა აგვიყვანოს ჩვენ მკვიდრნი ქვეყანისა და დაგვაპკვიდროს უფალთან“. ვთხოვთ შემწეობა და მფარველობა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, გვფარავდეს მისი მადლი.

ეკატერინე ცირიკაშვილი

წმ

01.07	ღირსი მიქაელ ულუმბოელი (VI)	19.08	ფრისცვლება უფლისა ჩვენიცა იესო ქრისტესი
04.07	ღიდუბული მოწამენი არჩილ მეფე (644) და ლუპრსაბი (1622)	25.08	ღირსნი მამანი ჩვენნი: კერონი, სენაპიონი, კერმანე, ბესარიონი, მიქაელი, სვიმონი და ოთარი - გარეუის მონასტერში ლეკთაგან მოწყვეტილნი
07.07	კიორგი მთაწმინდელი (1065) მღვდელმონაზონი კირიონ II სავარდუელის კათოლიკოს-პატრიარქი (1918)	27.08	წმინდა მოწამენი: ნაზარი, ქუთათელი-გაენათელი მიტროპოლიტი; დეკანოზი კერმანე, მღვდლები: იეროთეოსი, სიმონი; მთავარდიაკონი ბესარიონი (1924) და ყოველნი ახალმოწამენი, ცოცხალი (ჯარული რეჟიმის დროს უწმინდესთაგან წამებულნი (XX)
25.07	ღირსნი მამანი ჩვენნი ათონელი: იონე ექვთიმეს მამა და გაბრიელი (X)	28.08	მიძინება ყოვლადწმინდისა ჩვენიცა დედოფლისა მარადის ქალწულისა მარიაშისა
02.08	წმინდა სალომე ქართველი, სპარსთაგან წამებულნი (XIII) წმინდა ილია მართალი ქაუჭავაძე (1907) წინასწარმეტყველი ელია თეზბიდელი (IX საუკუნე ქრისტეს შობამდე)	29.08	ანჩისხატობა
11.08	წმინდა მოწამე ეკატერინე მცხეთელი (589)		
12.08	წმინდა აღმსარებელი ცოცხე დიდიანი		
16.08	ცხრა ძმა ხერხეულიძე დიდითა და დით და 9000 ქართველი მარადის ბრძოლის ველზე დაღუპულნი (1625)		

ს ა თ ვ ი ს ც ო მ ო



პატრიარქის სტუმრობა მიუნხენის ქართულ ეკლესიაში

მიუნხენის ქართული ეკლესია პატარა საქართველოა უცხო მიწაზე, საქართველოა მისი უკანა ეზოც, სადაც სხვადასხვა ასაკის ქართველი ბავშვები ბურთით თამაშობენ, საქართველოა დღესასწაულზე იქვე სატრაპეზოდ გაშლილი სუფრა და ის ცეკვები თუ მრავალხმიანი სიმღერები მას რომ მოჰყვება ხოლმე. საქართველოა მამაოს დალოცვა, მჭერმეტყველი სადღევრძელოები, მრევლის გოგონების ფუსფუსი და ბიჭების მიერ იქვე გვერდით შემწვარი მწვადი... იქ განა მარტო დრო გავიწყდება, ისიც აღარ გახსოვს რომ საქართველოდან შორს, გერმანიაში იმყოფები.

ასე იყო 19 ივლისსაც, მრევლის არსებობის მანძილზე ყველაზე დიდ დღეს, როდესაც მიუნხენელი თუ გერმანიის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული ქართველებით გადაჭედული ეკლესია უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შემობრძანებას ელოდა. „ჩვენთან არს ღმერთი. მე მოგესამებით ყველას. დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველი არიან საქმენი შენი. დიდია უფალი და ვერაფერით გონება ვერ მისწვდება მის საკვირველებას.“ – მოგვესალმა პატრიარქი – „ჩვენ მოგვცა უფალმა ისეთი ქვეყანა, რომელიც სანატრელია ყველასათვის. და ამ ქვეყანას – საქართველოს ჩვენ უნდა მოვუაროთ... მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი

საქართველო არ დაეცემა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო გაბრწყინდება.“

ძნელია იმ ემოციების სიტყვით გადმოცემა, რაც პატრიარქის მიერ გადახდილ პარაკლისზე დასწრებას სდევდა თან. მის დასასრულს უწმიდესმა და უნეტარესმა კვლავ მიმართა თვალცრემლიან მრევლს “მე კიდევ ერთხელ მოგესალმებით ყველას და ყველას გელოდებით საქართველოში“.



ეკლესიის ეზოში ტრაპეზი გაიშალა, სათვისტომოსთან არსებული სიმღერისა და ცეკვის გუნდები მომზადებული პროგრამით შეეგებნენ პატრიარქს. ილია II-მ ორჯერ ფეხზე ადგომით მიმართა მრევლს, მან ეკლესიის წინამძღვარი მამა თამაზი დალოცა და თავისი სიხარული და კმაყოფილება ნანახის გამო ხუმრობით გამოხატა: “მამა თამაზი წლების მანძილზე იყო ჩემი საპატრიარქოს მოსამსახურე და არის ჩემი სულიერი შვილი. მე ძალიან მიჭირდა მისი გამოშვება იქიდან. მაგრამ ახლა, როდესაც ვხედავ ასეთ მრევლს, სიცოცხლეს მრევლში, ალბათ, რომ მოითხოვოს უკან დაბრუნება, მე აღარ დავაბრუნებო.“

ამ დაუვიწყარმა სტუმრობამ დაგვიტოვა დიდი მადლი, სიტბო და სიყვარული და, რაც მთავარია, იმედი საქართველოს გამთლიანებისა და გაბრწყინებისა.

მიჭირს აღვწერო და ამ პატარა სტატიაში ჩავატიო ბედნიერების გრძობა, პატრიარქის სტუმრობიდან მოყოლებული რომ ბუდობს ჩემს გულში. უფალი ხშირად ანებებებს ჩვენს სამრევლოს ძვირფასი სტუმრებით, მაგრამ 19 ივლისი უთუოდ დაუვიწყარია ამ მხრივ, რადგან სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის სტუმრობა უცხოეთში მცხოვრები ქართველებისთვის განსაკუთრებით დიდი ბედნიერებაა.

გათუნდა 19 ივლისიც . . . ეკლესიაში ძალიან ბევრმა ქართველმა მოიყარა თავი, ისე როგორც აღდგომის ღამეს. აჰა, დარეკეს ზარებმა, გაისმა „ღირს არს ჭეშმარიტად“ . . . და ჩვენს პატარა სამრევლოში ფეხი შემოდგა საქართველოს ეკლესიის მესაჭემ. პირადად ჩემთვის და ჩვენი ეკლესიის მგალობლებისთვის დიდი პატივი და სიხარული იყო პატრიარქის მიერ ჩატარებულ პარაკლისზე გალობა.

ზეიმმა მოგვიანებით ეკლესიის ეზოში გადაინაცვლა. საზეიმო ტრაპეზზე გაჟღერდა ქართული ხალხური სიმღერა, სულ ცოტა ხნის წინ Toolwood-ის ცეკვის ფესტივალზე გამარჯვებულმა ცეკვის ჯგუფმა „იბერისმა“ აჭარული შეასრულა. ყველა სასოებით უგდებდა ყურს პატრიარქს, როცა მან რამდენჯერმე მოგემართა და დაგვლოცა.

ასე დასრულდა ერთი ღამეა და დღე ჩემს ცხოვრებაში. იმდენად აღელვებული ვიყავი განცდილით, ღამეები არ მეძინა. თურმე წინ კიდევ მელოდა დიდი სიხარული. მამა თამაზმა გვითხრა,

რომ პრიმში, ქიმზეეს ნაპირზე, სადაც რამდენიმე დღით იყო გაჩერებული მისი უწმინდესობა, ინგოლშტადტის ქართული ორკესტრის მუსიკოსები აწყობდნენ პატარა კონცერტს მისთვის. პატრიარქს უსურვებია მოცეკვავეების ნახვა. ჩვენც, რა თქმა უნდა სიხარულით დავთანხმდით. იქ მისულები ისე ავლელდით, მიკვირს ჩვენი ხუთ წუთიანი ცეკვის მონახაზი რომ არ აგვერ-დაგვერია. პატრიარქმა კონცერტის ბოლოს სათითაოდ ჩაგვიკრა გულში, დაგვლოცა და ვერცხლის ჯვრები გვაჩუქა. პრიმიდან კი არ მოვდიოდით, მოვფრინავდით, თავი სიზმარში გვეგონა. . .

უკან დაგვრჩა დაუვიწყარი დღეები. პატრიარქის ნაჩუქარი ჯვარი და სამაჯური წარწერით „ღმერთმა დაგლოცოთ სულ თან დამაქვს, გულში კი ღვთის იმედი, პატრიარქის სიტყვებით გამოწვეული: „ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ დაგვარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო, ჩვენ უბრალოდ დროებით დაგვარგეთ კონტროლი ამ კუთხეებზე. საქართველო გამთლიანდება და გაბრწყინდება!“

დიდი მადლობა, თქვენო უწმინდესობავ, სიტბოსთვის და სიყვარულისთვის. უფალს ვავედრებ თქვენს თავს და სრულიად საქართველოს.

მ რ ა ვ ა ლ ჟ ა მ ი ე რ !

მიუნხენის ქართული ეკლესიის
გუნდის ხელმძღვანელი: **ნანა გობეჩია**

„მინდა ასევე, განსაკუთრებით დაგლოცო უცხოეთში მცხოვრები ჩვენი ქართველები. მინდა გისუთვნოთ მალე დაბრუნდეთ საქართველოში. მიუღამ განსხვავდეთ, ტფილისი უფალი, სამშობლო უბრალოდ ძველანაა. აქ ანის ჩვენი თესვები, ჩვენი წინაპრების ძეგლები.“
ილია II



პატრიარქის შესახვედრად შტუტგარტიდან მიუნხენში საკმაოდ ადრე ჩავედით. მამა თამაზმა შემომთავაზა დღეს სტიქარს ხომ არ ჩაიცმევო. განსაკუთრებული გრძობა დამეუფლა, მე ხომ პატრიარქთან მიახლოების საუკეთესო პირობა მექმნებოდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და რა თქმა უნდა სიამოვნებით დავთანხმდი. ჩემი სტიქაროსნობის პერიოდში, ეს იყო უღამაზესი და უდიდესი დღე, მე საშუალება მიქონდა უწმინდესის და უნეტარესის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II გვერდით ერთხელ მაინც ვმდგარიყავი. ვცდილობდი არცერთი სიტყვა, არცერთი მოძრაობა პატრიარქისა არ გამომრჩენოდა. ვგრძობდი როგორ მითბებოდა გული და სიხარულის ცრემლებს ძლივს ვიკავებდი, როდესაც საქართველოზე მზრუნველ პატრიარქს შევცქეროდი. ეს იყო ენით აუწერელი ბედნიერება, მე ვერასოდეს დავივიწყებ ამ მადლიან დღეს.

ნიკოლოზ ქიზიყურაშვილი

„ძალიან სშიტად ახალგაზრდებს აგზავნიან მშობლოში უცხოეთში იმ დროს, როცა განმცვიც-
ბუნია ატ ატიან თავის თასყოლმბაში. ატ იციან ტა ატის ეტმწრული თასყოლმბა, ატ იციან
ტამ გადართინა სატართყოლ, ტომის იმპტია ღაყცა, ბიჭანცია ღაყცა, მტაჯალი სხვანიც,
სატართყოლ ატსტმბს!

ტაცომ? ტა, ჩვენ ტლიერტი ვიყავით სხვებზე მეტად?

ტოცა აღამიანი მცვიცედ ატა ღვას თავის თუბეზე, თავის ტინაპტების თასყოლმბებზე ღა ის
სვღება უცხა ტყყანაში, უცხა კულოტრატაში, უცხა ტყს-ჩყყოლმბაში, სღება მისი გადარტარტა.
ის ღტბოლმბს იმ კულოტრატასა თუ თსყდღაკულოტრატას, ტმბყოიც იტ ატის.

მაცხთჯარი ამბმბს: „მე ჯატ გზა, ტქმმარტცება ღა ცხთჯრტა“.

გზა, საღ ატის ჩყნი გზა, ეს უნღა ვიცოდეთ!“

ილია II

იმ დლოცვილ დღეს ყველა ჩვენთაგანი სახლში იყო და ქართულ მიწაზე იდგა

მინდა გავიხსენო როდის ვიყავი ძალიან ბედნიერი, რომელი დღე იყო განსაკუთრებული ჩემი ხანგრძლივი ცხოვრებიდან გერმანიაში. ვერც ერთი ვერ შეედრება იმ გამორჩეულ, ღვთის მადლით შეჯერებულ დღეს, როდესაც ჩვენი უსაყვარლესი უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მობრძანდა მიუნხენსა შინა და მოგვიტანა ერთ ალუწერული ბედნიერება, ღმერთის მადლი და კურთხევა, იმედი და ძალა შეგვმატა, გული გაგვინათა, გვანუგეშა, მოგვეფერა და დაგვლოცა. იმ დღეს ყველა ჩვენთაგანი თავის მშობლიურ მიწაზე იდგა, თავს საქართველოში გრძნობდა. ვგონებ არ დარჩა გერმანიაში მაცხოვრებელი ქართველი იქ არ ყოფილიყო.

დაილოცოს შენი განგება უფალო, ღმერთო დიდხანს უმყოფე სრულიად საქართველოს უწმიდესი და უნეტარესი, ჩვენი სულიერი მამა ილია II. ამინ.

მარინა აბრამიშვილი



უწმიდესისა და უნეტარესის ილია II –ის მიუნხენში ჩამობრძანებით ჩვენს მრევლს ბედნიერება ერგო წილად. საქართველოს ეკლესიას სათავეში უდგას საოცარი ადამიანი, მისი სახით ღვთიური წყალობა მოუძაღლებია ჩვენთვის უფაღს. მიუხედავად მისი გაუარესებული ჯანმრთელობისა მან კიდევ ერთხელ არ დაიშურა უდიდესი სიყვარული და თავგანწირვა მისი ხალხის მიმართ და ქწვია მიუნხენის ქართულ ეკლესიას, რითაც ასე გაგვახარა და ძალა შეგვმატა. ძალზედ ბედნიერი და მადლობელი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა ასე ახლოდან მომესმინა მისი ტკბილი ხმა და ლოცვა, რომელიც ამშვიდებს და აღამაღლებს ადამიანს. ამ წმიდა ადამიანის მოწოდება და მტკიცე რწმენა იმისა, რომ ყველა საზღვარგარეთ მყოფი ქართველი აუცილებლად დაბრუნდება საქართველოში, სიცოცხლის სულს შთაჰბერავს აქ მყოფთ და მეც არ მამღვეს უფლებას დავივიწყო, რომ ეს განშორება დროებითია. ამგვარი სულისკვეთება პირველ რიგში აერთიანებს და ამთლიანებს ჩვენს ერს, რაც დღეს ასე ძალიან გვესაჭიროება.

ღმერთმა კიდევ დიდხანს ამყოფოს იგი ჩვენთან და ჩვენც უფრო მეტად დაგვეფასებინოს მისი უდიდესი ღვაწლი სრულიად საქართველოს წინაშე.

ქეთევან მამალაძე

პატრიარქის სტუმრობა მიუნხენში იყო ჩემთვის ძალიან დიდი ბედნიერება. ეს იყო, ყველაზე ლამაზი, სიხარულით დაღადებით ემოციებით აღსავსე დღე, არამარტო ჩემთვის, არამედ მთელი იქ მყოფი ქართველებისათვის. ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება, რომ ლოცვა-კურთხევა მისი უწმინდესობისაგან აგვეღო. იმდენად დიდი იყო სიხარული, რომ ძნელი იყო თვალზე მომდგარი ცრემლის შეკავება. იმ დღეს მე ვიყავი უბედნიერესი ადამიანი, რადგან შემემძლო ის სიხარული, რაც პატრიარქის სტუმრობას თან ახლდა, მეც გამეზიარებინა.

ეკატერინე აბრამიშვილი

“იბერიის” გამარჯვება ხალხური ცეკვების ფესტივალზე

გ რ ი გ ო ლ რობაქიძემ ქართულ ცეკვას „როკვაში განფენილი ქართული გენი“ უწოდა. ხოლო ილია ჭავჭავაძემ „ერიის უკვდავი საუნჯე“. ჩვენი ერის ყველაზე ნიშანდობლივი ხასიათები და ტრადიციები სწორედ ცეკვამ შემოგვინახა, ამიტომ არის იგი ყოველი



ახალ-ახალი სახეები ემატება. ანსამბლის ხელმძღვანელები მანანა ლაფაჩიშვილი და გიორგი გელაშვილი ენერჯისა და მოთმინებას არ იშურებენ, რათა მოყვარულებს თითოეული მოძრაობა სწორად შეასწავლონ. ოლიმპიურ ბაღში ჩატარებულ ხალხური ცეკვების ფესტივალზე თორმეტი ქვეყნის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას.

ჩვენგანისათვის უძვირფასესი განძი, რაშიც კიდევ ერთხელ დავრწმუნდით როცა ანსამბლ „იბერიისს“ შესრულებულ „აჭარულს“ ვუსტყურდით.

ერთმანეთში შერწყმული პლასტიურობა და გრაციოზულობა, სიამაყე და მიმზიდველობა, მაყურებელამდე მიტანილი ქართული სულის ხიბლი ერთად ჩაეჭია იმ რამდენიმე დაუვიწყარ წუთში, რომელმაც სულით ხორცამდე შეძრა მნახველი.

„საოცარია“, „განსაცვიფრებელია“- ასეთი შეფასებები გაისმოდა ნომრის შესრულების შემდეგ, რომელმაც ახალგაზრდა მოცეკვავეებს კონკურსზე პირველი ადგილი, „Oktoberfest“-ის საზეიმო გახსნაზე ქართული ეროვნული სამოსით გამოსვლის უფლება მოუპოვა და ფესტივალის მსვლელობასაც სიცოცხლე შეჰმატა. ეს იყო წამები, რომლის დროსაც გრძნობ ხელოვნების მაგიურობას და გეამაყება, რომ ქართველი ხარ.

ანსამბლ „იბერიისმა“ ქართული სათვისტომოს თაოსნობით მიუნხენში, გაზაფხულის პირს დაიწყო პირველი ნაბიჯების ადგმა. იგი ქართული ხალხური ცეკვების სამოყვარულო დონეზე შემსწავლელ ჯგუფს წარმოადგენს, რომელსაც ყოველ მეცადინეობაზე

კონკურსზე მიღწეული წარმატება „იბერიისს“ არსებობის მიზნის დასტური იყო. ჩვენმა მოცეკვავეებმა გამარჯვებულის გამოცხადების შემდგომ, ჟიურისა და მაყურებელთა თხოვნით მეორედ და უფრო მეტი შემართებით დაიპყრეს იქ მყოფთა გულები.

შესრულების განსაკუთრებული მანერა, ღრმა ემოცია და მხოლოდ ქართული ცეკვისათვის დამახასიათებელი მოძრაობების ზედმიწევნით ცოდნა განასხვავებდა ჯგუფს სხვა შემსრულებლებისაგან, ამიტომ შემთხვევითი არ გახლავთ, რომ რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოს სულიერმა მამამ უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აკურთხა და გზა დაულოცა მათ.

ქართველი კაცი არასოდეს ნებდება, ახლაც, ძნელბედობის ჟამს იგი ცეკვით ძლიერდება, მხნევდება და ეძებს მეგობრებს, რადგან სწორედ ხელოვნება აახლოებს ყველაზე სწრაფად და მყარად არა მხოლოდ ადამიანებს, არამედ ერებსაც. ამიტომ გვჯერა, რომ „იბერიისს“ მომავალი საქმიანობა კიდევ ერთი გადებული ხიდი იქნება ქართველი და გერმანელი ხალხების დაახლოების გზაზე.

თამარ ბერუჩაშვილი

ჩვენო ქრნალი აკრძალვას ქრნალისთა ქსელის პაფარტოვას და ელის ვაჟა დანიტაშვილი პირის გამთხაპრავას საზოგადოებრივ საწმისიგა ქრნალთან თანაპრტოვას კოთხით.

დავპიკავპიკლით:

qartuli@satvistomo.de



რუსეთის მოქალაქე იმპერიის ოკუპაციური ომისა და საქართველოს 1/4 ნაწილის ოკუპაციის პერიოდის თავთან დაკავშირებით გერმანიის ქართულმა სათვისტომომ 2009 წლის 8 აგვისტოს, უაგათს, გაყარტა ორი სავრტესტო აქცია მიუწესნა და ვენაში.



ინფორმაცია

Au-Pair -ის პროგრამით ჩამოსულ ახალგაზრდებს, რომლებსაც აქვთ შეპითხვები მათი უფლება-მოვალეობების შესახებ, შეუძლიათ დაუკავშირდნენ სათვისტომოსთან არსებულ საინფორმაციო ჯგუფს შემდეგ ნომრებზე:

0176 23346015 (პარაგენი),
0176 22640247 (თინათინი),
0179 4998874 (ნინო)

ან ელექტრონული ფოსტით: info@satvistomo.de

საქართველოს გერმანული კოლონიები

გაგრძელება
(დასაწყისი მე-3 ნომერში)

გერმანული კოლონისტების შემდგომი ბედი

1941 წელს სტალინურმა რეჟიმმა გერმანული კოლონისტები გადაასახლა ციმბირსა და ყაზახეთში. მხოლოდ იშვიათი გამონაკლისები, ადამიანები, რომელთაც არაგერმანული მეუღლეები ჰყავდათ, გადაურჩნენ დევნას. რეაბილიტაციის შემდეგ ზოგიერთი გადასახლებული დაბრუნდა საქართველოში. დღეს საქართველოში ცხოვრობს გერმანულ კოლონისტთა რამდენიმე ასეული შთამომავალი. გადასახლებულთა მცირე ნაწილი დაბრუნდა ეკატერინენფელდში, რომელიც საბჭოთა პერიოდში ქალაქი და რაიონული ცენტრი (ბოლნისი) გახდა. კოლონისტთა შთამომავლობიდან მხოლოდ ათეულზე მეტი მოხუცია შემორჩენილი. მათთვის ბოლნისში 90-იან წლებში დაარსებულ გერმანული კულტურის სახლში ტარდება დღეის მსახურება.

საქართველოში მცხოვრებ ლუთერან გერმანელებს დიდ დახმარებას უწევს თბილისისა და ზაარლანდის უნივერსიტეტების პარტნიორული პროგრამის ყოფილი ხელმძღვანელი პროფესორი გერტ ჰუმელი. იგი ზაარლანდის უნივერსიტეტში ევანგელისტურ-ლუთერანული თეოლოგიის პროფესორი იყო და ასევე ეკლესიის მღვდელი.

ორი უნივერსიტეტის პარტნიორული პროგრამის, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ფარგლებში პროფესორი ჰუმელი 15-წლის განმავლობაში ჩამოდიოდა საქართველოში. მისთვის საქართველო იყო მეგობრობის, სტუმართმოყვარე ხალხისა და ღვინის ქვეყანა. მაგრამ ერთ-ერთი ვიზიტისას მან უეცრად აქ თავისი თანამემამულეები და მეტიც, მე-12 თაობის ნათესავები აღმოაჩინა. ისინი გერმანული კოლონისტების შთამომავლები იყვნენ.

თბილისში მცხოვრებმა გერმანელებმა პროფესორ ჰუმელთან თავიანთ ამჟამინდელ ყოფაზე საუბრისას დიდი გულიანობით აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ მშვენიერი ეკლესია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ მე-2 მსოფლიო ომის წლებში გერმანულ სამხედრო ტყვეებს დაანგრევინა. ამ ტრაგიკულმა ისტორიამ გადააწყვეტინა თეოლოგიის პროფესორსა და პასტორს გაეყიდა გერმანიაში საკუთარი საცხოვრებელი სახლი და სანაცვლოდ საქართველოში მცხოვრები გერმანელებისათვის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესია აეშენებინა.

მართლაც, 1997-წლის 26 ოქტომბერს თბილისში ტერენტი გრანელის ქუჩაზე, ყოფილ

გერმანულთა სასაფლაოს ტერიტორიაზე გაიხსნა შერიგების ეკლესია, სადაც 250-დან 400-მდე გერმანულ ლუთერანს საშუალება აქვს დაესწროს ღვთისმსახურებას. ამ ეკლესიის გახსნამ საშუალება მისცა საქართველოში მცხოვრებ გერმანული წარმოშობის მოქალაქეებს გაერთიანებულიყვნენ და ერთად შეკრებილთ ეზრუნათ საკუთარ პრობლემებზე.

დღეს საქართველოში ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესია აერთიანებს ხუთ მრევლს, რომლებიც საქართველოში სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები გერმანული წარმოშობის მოსახლეობისგან შედგება. ეკლესიასთან არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად რეგისტრირებული კავშირი ევანგელისტურ-ლუთერანული დიაკონური სამსახური. კავშირის მიზანია საქართველოს გერმანული თემის წევრებისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა.

გერმანული კოლონისტები ბოლნისში

გერმანული კოლონიების შექმნა ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში იწყება 1817-1818 წლებში გენერალ ერმოლოვის მმართველობის დროს.

გერმანელთა ჩამოსახლებას ორი მიზეზით ხსნიან; პირველი: მეფის რუსეთს თავის პოლიტიკური დასაყრდენი ცარიზმის ერთგული ელემენტები სჭირდებოდა გერმანული კოლონისტების სახით, რომლებიც ექსპლუატაციას გაუწევდნენ ადგილობრივ მოსახლეობას ამით ცარიზმს სურდა დაესუსტებინა მათი წინააღმდეგობა. მეორე მიზეზი გერმანული კოლონისტების ჩამოსახლებისა ამიერკავკასიაში იყო ის რომ ჩვენში განვითარებულიყო სოფლის მეურნეობა, კერძოდ მევენახეობა. ამის დიდი პრაქტიკა და გამოცდილება ნამდვილად ჰქონდათ გერმანულ კოლონისტებს, განსაკუთრებით ვიურტენბერგიდან ჩამოსახლებულებს, ვინაიდან ვიურტენბერგში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგი მევენახეობა იყო.

1817-1818 წ. ამიერ კავკასიაში გერმანულ კოლონისტების ჩამოსახლებას ხელი შეუწყო გერმანიაში შექმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომიურმა პირობებმა. კერძოდ ნაპოლეონ პირველის გამანადგურებელმა ომებმა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გერმანიის ტერიტორიაზე წარმოებდა, აჩანაგებდა ფეოდალურ ბატონყმური წყობილების ქვეშ მდგინავ გლეხობას. იყო სხვა მიზეზიც: კაპიტალიზმის განვითარება და



ეკატერინენფელდის ყოფილი ეკლესიის შენობა

ამით გლახთა მასების გადატაკება, რაც იწვევდა მათ მიგრაციას სხვა სახელმწიფოებში.

მე-17-18 საუკუნეებში გერმანიის ზოგიერთი სოფელი სრულად მოისპო. ამ სოფლების მცხოვრებნი ან ქალაქად მიდიოდნენ, ან დაქირავებულ მოჯამაგირებად იქცეოდნენ. გლახთა ეს მასები ადვილად ექცეოდნენ სხვადასხვა რელიგიური სექტების გავლენის ქვეშ. სექტანტობა კი გამოხატავდა ხალხთა მასების პროტესტს ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ. მისი იდეოლოგი გერმანიაში იყო იუნგ-შტილინგი, რომელიც წინასწარმეტყველებდა ქვეყნიერების დასასრულს და თავის მიმდევრებს არწმუნებდა ხსნა ეძიათ კავკასიაში არარატის მთასთან. 1808 წ. იგი გაეცნო ბარონესა ვარვარა კრუდენერს (ქალიშვილობაში ფიტინგოვა), რომელიც რუსი არისტოკრატის ოჯახში იყო დაბადებული. ვარვარა კრუდენერმა იუნგ-შტილინგის გავლენით დაიწყო აქტიური მოღვაწეობა. იგი ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში დადიოდა და წინასწარმეტყველებდა, რომელიც მიმართული იყო ნაპოლეონის წინააღმდეგ. ვ. კრუდენერმა ნაპოლეონს უწინასწარმეტყველა დამარცხება და რუსეთის მეფეს ალაქსანდრე პირველის გამარჯვება 1812 წლის სამამულო ომში. ომის შემდგომ ალექსანდრე პირველმა მონდრომა გაცნობოდა „საკვირველ წინასწარმეტყველს“, რომელსაც მანამდე მიმოწერით იცნობდა მათი შებვედრა 1815 წელს მოხდა. ამ შებვედრამ დიდი გავლენა მოახდინა ალექსანდრე პირველზე, იგი თვით ეზიარა სექტანტურ მოძღვრებას და მხარი დაუჭირა გერმანელ კოლონისტთა ჩამოსახლებას ამიერ კავკასიაში, კერძოდ საქართველოში.

1817 წელს გერმანელ კოლონისტთა შემკრებ პუნქტზე ქალაქ ულშში მდ. დუნაიზე 1400 ოჯახი შეიკრიბა ამიერკავკასიაში გასამგზავრებად. მათი უმრავლესობა ვიურტემბერგელი სეპარატისტები იყვნენ. ჩასხდნენ გემებში და მდინარით ქ. იზმაილში (თურქეთი) ჩავიდნენ, აქედან კი ქ. ოდესაში. გზაზე კოლონისტებს დიდი უბედურება დაატყდათ თავს:

კოლონისტებს შორის გაჩნდა სახადი, რის შედეგადაც თითქმის ნახევარი დაიღუპა, მათ შორის იყვნენ ბავშვებიც.

1819 წლის ბოლოსათვის გერმანიიდან გადმოსახლებულებმა ქვეყნის ადმინისტრაციის დახმარებით სულ 8 კოლონია შექმნეს.

1. ეკატერინენფელდი — 116 ოჯახით (სახელწოდება მიიღო ვიურტემბერგის დედოფლის ეკატერინე პავლეს ასულის პატივსაცემად). ეს კოლონია ბორჩალოს მაზრაში, ბოლნისის ტერიტორიაზე შეიქმნა.

2. მარიენფელდი — 31 ოჯახით, კახეთის გზატკეცილზე (სართიჭალაში), თბილისიდან 35 ვერსის დაშორებით.

3. თბილისის კოლონია — ქალაქის მაშინდელ გარეუბანში (კუკიაზე) — ახლანდელი დ. აღმაშენებლის გამზირის ტერიტორია — 51 ოჯახით.

4. ალექსანდერსდორფი — 23 ოჯახით (დაერქვა რუსეთის მეფე ალექსანდრე პირველის პატივსაცემად). ახლანდელი სამტრედიის ქუჩის ტერიტორიაზე დიდუბეში.

5. პეტერსდორფი — 17 ოჯახით (სახელწოდება მიიღო მეფე პეტრე პირველის პატივსაცემად), მარიენფელდის მახლობლად.

6. ელიზავეტალი — 65 ოჯახით (დღევანდელი ასურეთი), სახელწოდება მიიღო დასახლების ადგილის შერჩევის დღესთან დაკავშირებით (1818 წლის 19 ნოემბერი ახალი სტილით).

7. ანენფელდი — 91 ოჯახით (სახელწოდება მიიღო ნიდერლანდების დედოფლის ანა პავლეს — ასულის პატივსაცემად). შამქორის მიწებზე, განჯიდან 25 ვერსის, ხოლო თბილისიდან 155 ვერსის მანძილზე.

8. ელენდორფი — 130 ოჯახი, განჯის მახლობლად, (სახელწოდება მიეკუთვნა მეკლენბურგ-შვერინის ჰერცოგინიას ელენე პავლეს ასულის პატივსაცემად).

1842 წ. აბასთუმნის მინერალური წყლების მახლობლად დასახლდა 10 ოჯახი.

1860 წ. იყალთოელ თავადებს რევან და ათანასე მაყაშვილებს ხელისუფლებისათვის შეუთვანვებით დაესახლებინათ გერმანელი კოლონისტები მათ მამულში, მაგრამ გერმანელებს აქ დასახლებაზე უარი უთქვამთ.

პირველად ჩამოსახლებულმა გერმანელ კოლონისტთა ოჯახებმა 1818 წლის ზამთარი ადგილობრივ გლახთა სახლებში გაატარეს. მათთვის დაიწვეს ქვის სახლების მშენებლობა. სამშენებლო მასალა უფასოდ გამოუყვეს. მასალას უსასყიდლოდ აზიდინებდნენ ადგილობრივ გლახებს თავისივე ურმებით.

შემდგომში ჩამოსული კოლონისტების ნაწილი ისევ ადგილობრივ მოსახლეობას შეაკედლეს, ნაწილი მუსულმანებისათვის ჩამორთმეულ გადახურულ

ურმებში (КИБИТКА) მოათავსეს. კოლონისტთა მცირე ნაწილმა პირველ ხანებში საცხოვრებლად მიწურები გაიკეთა. კოლონისტთა ყოველ ოჯახს მიეცა კანონით გათვალისწინებული 300 — 300 მანეთი სახლების ასაშენებლად. მაგრამ მთავრობამ არასაკმარისად ცნო და კიდევ დაუმატა 100 — 100 მანეთი.

პირველ ხანებში ინვენტარის და სათანადო რაოდენობის გამწვევი ძალის უყოლობის გამო, გერმანელ კოლონისტებს უჭირდათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება. ქვეყნის ადმინისტრაცია ამჯერადაც დაეხმარა მათ. ადგილობრივ გლეხებს სრულიად უსასყიდლოდ მოახვედრეს გერმანელთა კუთვნილი მიწები, ეს მაშინ, როცა სუსხიან ზამთარში თვითონ დაეხოცათ პირუტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი და თავიანთი მიწებიც ჯერაც არ ჰქონდათ მოხსული.

კოლონისტებს ხაზინის ხარჯზე შეუძინეს ბარები, ნიხბები, წერაქვები, ცულები, ცულები, ნამგლები და სხვა. ყოველი კოლონისტის ოჯახს მიეცა უღელი ხარის შესაძენი თანხა 24 მანეთი.

1824—1825 წწ. გერმანულ კოლონიებს პირველი აღმავლობის ნიშნები შეეცყო. ისინი დამოუკიდებლად აწარმოებდნენ მინდვრებისა და ბაღჩების თესვას, ამენებდნენ ვენახებს. თვით კოლონიებში მოეწყო სამჭედლოები, სადურგლოები და სხვა სახელოსნოები.

ეკონომიურად რამდენადმე მოღონიერებულ კოლონიებს თავს დაატყდათ დიდი უბედურება: რუსეთ-ირანის ომის დროს 1826 წლის 26 აგვისტოს ეკატერინენფელდს თავს დაესხნენ სპარსელები და ქურთები, რომელთაც საშინელი ხოცვა-ჟლეტვა მოაწყვეს კოლონიაში. თავდამსხმელებმა მოკლეს 70 და ტყვედ წაიყვანეს 140-მდე მამაკაცი, ნაძარცვის სახით თან გაიყოლეს საქონელი. 240 კოლონისტმა თბილისში გაქცევით უშველა თავს. მათ საშველად დაძრულ პოლკოვნიკ საგარსამიდის რაზმს კოლონია სასტიკად აოხრებული დახვდა. (შემდგომში ეს დღე კოლონიებში ყოველწლიურად აღინიშნებოდა გლოვის დღედ). ამავე დროს იგივე ბანდები დაესხნენ თავს ელიზავეტპოლის მაზრის კოლონიებს (შამქორი). თუმცა აქაურმა კოლონისტებმა მოასწრეს გაქცევა და თავი შეაფარეს თბილისს. კოლონისტებს კვლავ დაეხმარა მეფის რუსეთის მთავრობა, რომელმაც თითოეულ ოჯახს გამოუყო 172 მანეთი დაუბრუნებელი სესხის სახით.

ამასთანავე მთავრობამ იზრუნა ტყვედ წაყვანილი კოლონისტების გამოსასყიდად. მომდევნო წლებში მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დაბრუნდა თავის კოლონიებში.

საარქივო მასალებში აღნიშნულია ასეთი ფაქტი: 1826 წლის შემოდგომაზე კონსტანტინეპოლიდან დაბრუნებულ თბილისელ ვაჭარს (ალექსი შადინოვს)

ახალციხეში გამოვლისას უნახავს 30-ზე მეტი გერმანელი კოლონისტი, ამთავან სამი მათგანი თავის სახსრებით ტყვეობიდან გამოუსყიდია და სახლებში დაუბრუნებია. შემდეგ შადინოვს საქართველოში ჩამოსვლისთანავე მთავრობისათვის შეუთავაზებია თავის სამსახური — წასულიყო ახალციხეში და ხაზინის ხარჯზე გამოესყიდა გერმანელი კოლონისტები.

1831 წლისათვის რუსეთის იმპერატორისათვის (ნიკოლოზ პირველი) ბრძანებით სათანადო ფულადი სახსრების საფასურად დანარჩენი ტყვე კოლონისტები გამოუსყიდიათ და დაუბრუნებიათ საქართველოში.

გერმანელ კოლონისტებმა შემდგომშიც მრავალჯერ მიიღეს მნიშვნელოვანი თანხა დაუბრუნებელი სესხის თუ დახმარების სახით (წისქვილების შესაძენად, არხების გასაყვანად, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობების ასაგებად და სხვა).

ჩამოსახლების პირველი წლებიდანვე, ისევე როგორც შემდგომ პერიოდში გერმანელი კოლონისტები მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდნენ სამშობლოსთან, თავიანთ ნათესავეებთან. ისინი გერმანიიდან მათ უგზავნიდნენ სხვადასხვა სახის ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთებს, რათა მათ „არ დაეიწყებოდათ სამშობლო“.

ყველაზე დაწინაურებული კოლონია იყო ეკატერინენფელდი, სადაც თავი მოიყარა სექტანტთა ძირითადმა მასამ. ამავე კოლონიაში დამკვიდრდა სექტანტთა ხელმძღვანელობა და უფრო შეძლებული ნაწილი.

ეკატერინენფელდი ასწლებზე მეტი ხნის განმავლობაში წამყვან როლს ასრულებდა ამიერკავკასიის გერმანელ კოლონისტთა ცხოვრებაში. ამავე დროს, ეკატერინენფელდი 30-იან 40-იან წლებში ამიერკავკასიის გერმანულ კოლონისტთა შორის გაძლიერებული სექტანტური მოძრაობის ცენტრს წარმოადგენდა. ამ მოძრაობამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ამიერკავკასიაში გერმანული კოლონიების არსებობა და მთავრობას მის ჩასაქრობად ენერგიული ღონისძიებების ჩატარება მოუხდა.

გერმანელ კოლონისტების სამართავად 1819 წელს მთავარმართებელ ერმოლოვის განკარგულებით დაარსდა „საქართველოში დასახლებული კოლონისტების სამართველოს დროებითი კანტორა“. მის უფროსად დანიშნეს კოლეგიის ასესორი იანოვსკი. კანტორის შემადგენლობაში 11 კაცი იყო.

კოლონისტების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაარსეს სპეციალური კომიტეტი იმ საჩივრების განსახილველად, რომლებიც კოლონისტებს შეჰქონდათ კავკასიის ცენტრალური ადმინისტრაციის სახელზე.

1834 წელს იმპერატორის ბრძანებულების თანახმად კანტორა გაუქმდა. გერმანელი კოლონიების

მართველობა გადავიდა სამოქალაქო გუბერნატორის ხელში, რომლის კანცელარიასაც დაემატა სპეციალურად ამ მიზნით დანიშნული რამდენიმე ჩინოვნიკი. ამრიგად, მთავრობამ გაამართვა კოლონისტების მმართველობა და შეამცირა ხარჯები.

ცალკეული კოლონიის უშუალო ხელმძღვანელობისათვის ყოველ მათგანში შექმნილი იყო ე.წ. „სოფლის პრიკაზები“, რომელიც შედგებოდა „შულცის“ (მამასახლისის), ორი „ბაიზიცერის“ (მსაჯულის), და დაქირავებული სოფლის მწერლისაგან. „შულცსა“ და „ბაიზიცერს“ ირჩევდნენ სასოფლო კრებაზე ორი – სამი წლის ვადით.

როგორც ცნობილია, მეფის რუსეთის მოხელეთა აზრით ამიერკავკასიის ადგილობრივი მოსახლეობა „სიზარმაცის“ და „უნუარობის“ გამო გამოუსადეგარი იყო სოფლის მეურნეობის გარდაქმნისა და აღმავლობის საქმეში. სწორედ ეს მოტივი გამოიყენა ცარიზმმა აქ უცხო ელემენტის ჩამოსახლების საბაბად.

საქართველოში ცარიზმის ადმინისტრაციამ ბევრ სოფელში ადგილობრივი გლეხობა აყარა და გერმანელ კოლონისტებს მისცა მათი საუკეთესო მიწები. გერმანელმა თითოეულ ოჯახზე (კომლზე) დაახლოებით 35-60 დესტინა მიწა მიიღეს (დესტინა = 1,0925 ჰექტარს). ეს მაშინ, როდესაც ადგილობრივ გლეხობას: ქართველებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს საშუალოდ 3-5 დესტინა მიწაც არ ჰქონდათ.

გერმანელი კოლონისტები ზომამზე მეტად იყვნენ უზრუნველყოფილნი მიწით და ყოვლად უსაფუძვლო იყო ზოგიერთი კოლონისტის ჩვილი მცირემიწიანობაზე. კოლონისტების დიდი უმრავლესობა საკუთარი ძალით მთლიანად ვერ ამუშავებდა მიწას, ამიტომ ისინი, როგორც წესი, ქირაობდნენ და ექსპლოატაციას უწევდნენ ახლო-მახლო მცხოვრებ ადგილობრივ გლეხებს, ანდა თავიანთთვის მეტად ხელსაყრელ პირობებში იჯარით აძლევდნენ მიწებს აღნიშნულ პირებს.

კოლონისტებს საქართველოში ასახლებდნენ საუკეთესო მიწებზე მთავრობა მათ აძლევდა მთელი რიგ შეღავათებს გადასახადის გაწერის, კრედიტის მიცემისა და სხვა საქმეში, მაშინ როცა ადგილობრივი მოსახლეობა მოკლებული იყო ყოველივე ამას.

გერმანული კოლონიების სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი ეჭირა მევენახეობასა და მემინდვრეობას.

მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში შემოვიდა ევროპიდან და რუსეთიდან მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მათ შორის რკინის გუთნები და სხვა სასოფლო სამეურნეო ინვენტარი. კოლონისტებს ძირითადად საშემოდგომო ხორბალი მოჰყავდათ,

გარდა ამისა მოჰყავდათ ქერი, შერი, ჭვავი და სიმინდი. პურის სალწად იყენებდნენ ცხენებს, რომლებსაც პირდაპირ არბენებდნენ კალოზე გაშლილ პურის ძნებზე და აყრევენებდნენ მარცვალს. მათ შემდგომში ქართველი მოსახლეობისაგან გადაიღეს კვერით ლწევა და ხარების ნაცვლად ცხენებს აბამდნენ. მხოლოდ 80-90 იან წლებში ზოგიერთი შეძლებული კოლონისტი ახერხებდა გამოეწერა საზღვარგარეთიდან სალწე მანქანები.

პურის დაფქვას კოლონისტები წყლის წისქვილით აწარმოებდნენ, მათ ეს წისქვილები საკუთრებაში ჰქონდათ.

მათ დიდი რაოდენობით მოჰყავდათ კარტოფილიც, რომელსაც ხორბლისა და ვენახის შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მათ ეკონომიკაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საერთოდ კარტოფილი ერთ-ერთი კულტურა უნდა იყოს, რომელიც პირველად კოლონისტებმა გაავრცელეს საქართველოში (ამიერკავკასიაში).

განსაკუთრებული ადგილი გერმანელი კოლონისტების საქმიანობაში ეჭირა მევენახეობა-მეღვინეობას, განსაკუთრებით ეკატერინენფელდში, მათ ქართული ვაზის ჯიშები გააშენეს: საფერავი, რქაწითელი, მწვანე და სხვა.

გერმანელები რქაწითელს „ორ-აბახსაც“ უწოდებდნენ, რადგან ამ ჯიშის ღვინო თუნგი ორ აბახად (40 კაპიკად) იყიდებოდა, მაშინ, როცა სხვა ღვინოები 15-დან 30-მდე კაპიკად იყიდებოდა.

მე-19 საუკუნის 50-იან წლებში გერმანელმა კოლონისტებმა გააშენეს აგრეთვე ვაზის ვეროპული ჯიშები: მუსკატი, მადერა, იზაბელა, რომლებიც ევროპიდან გამოიწერეს მეფისნაცვალ ვორონცოვის ბრძანებით. მაგრამ ეს ჯიშები ვერ შეეგუვნენ ადგილობრივ კლიმატურ პირობებს, ამავე დროს ადგილობრივი მომხმარებელიც ნაკლებად ეტანებოდა, ამიტომ კოლონისტებმა მალე მიანებეს თავი მათ გავრცელებას და ძირითადად აშენებდნენ ადგილობრივ, უმთავრესად საღვინე ჯიშის ვაზს.

გერმანელი კოლონისტები ვენახს ძირითადად თვითონ ამუშავებდნენ. ამ სამუშაოებში მონაწილეობას იღებდა ოჯახის ყველა შრომისუნარიანი წევრი. მე-19 საუკუნის 50-იან წლების შემდეგ კოლონისტთა დიდი უმრავლესობა ვენახში მძიმე სამუშაოებს (ბარვა, თოხნა, უფრო მოგვიანებით შეწამვლა და სხვა) დაქირავებული მუშა-ხელის საშუალებით აწარმოებდა.

ვენახებს სიმწიფეში შესვლისას შეიარაღებული ყარაულებით იცავდნენ. იმ დროინდელ პრესასა და არქივში მრავლად მოიპოვება მასალები, რომლებიც მოწმობენ, რომ ყურძნის მოპარვის შემთხვევაში კოლონისტები ხშირად ადამიანის სიცოცხლესაც კი არ ინდობდნენ.

როველი, ჩვეულებრივ იწყებოდა სექტემბრის დასასრულს, ან ოქტომბრის დასაწყისში და გრძელდებოდა 10-15 დღე. როველი ზეიმად იქცეოდა ხოლმე — სკოლები იხურებოდა, სახლებში რჩებოდნენ მხოლოდ ავადმყოფები და დიასახლისები. კოლონიის მთელი მოსახლეობა — დიდი და პატარა ვენახებში მუშაობდა.

პირველ ხანებში ყოველგვარი ყურძენი ერთად იწურებოდა, რაც იწვევდა ღვინის ხარისხის გაუარესებას. შემდეგში დაიწვეს შავი და თეთრი ყურძნის გარჩევა და სხვადასხვა ჯიშის ყურძენს განცალკავებით წურავდა.

ყურძნის დაწურვა ხდებოდა სახლის ქვეშ მოწყობილ ღრმა სარდაფში, ან სპეციალურად გადახურულ ნაგებობაში. პირველ ხანებში ყურძენს შიშველი ფეხებით წურავდნენ, ხოლო შემდეგში სპეციალური ლურსმნით შემოჭვდილი ჩექმებით.

შვ ყურძენს უფრო გულმოდგინეთ წურავდნენ ფერის გამოსაცემად, რადგან ღვინო მით უფრო ფასობდა, რაც უფრო მუქი იყო. დიდ როფში ჩასულ წვენს აძლევდნენ ჭაჭას. როფებში მაჭარს 2-3 დღეს გულმოდგინედ ურევდნენ; აჩერებდნენ კიდევ 3-4 დღეს კარგი ამინდის, ხოლო 8-10 დღეს ცუდი ამინდის დროს, მანამ სანამ ჭაჭა ზვეით არ წამოვიდოდა. სითხეს სპეციალური ხის ჭურჭლით ასხამდნენ სარდაფში მდგარ მუხის კასრებში, სადაც ყურძნის წვენი იმყოფებოდა დაახლოებით ერთ თვეს დადუღებამდე. კასრებს საცობის ნაცვლად ადებდნენ სპეციალურად შეკერილ ქვიშით სავსე პატარა ტომრებს დუღილის დროს წარმოქმნილი გაზის გამოსაყოფად. დუღილის დამთავრების შემდეგ კასრებს პირამდე ავსებდნენ და ჰერმეტიკულად ხურავდნენ. ასეთ მდგომარეობაში ტოვებდნენ იანვრამდე, შემდეგ ღვინოს ახალ კასრებში გადაიღებდნენ და იგი მზად იყო გასაყიდად. ჭაჭისგან ხდიდნენ არაყს, რომელსაც ისევე, როგორც ღვინოს ყიდდნენ.

კოლონისტები მისდევდნენ ხეხილის ბაღებისა და ბოსტნეულის გაშენებასაც.

რიგ კოლონიებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეცხოველეობას, განსაკუთრებით ეკატერინენფელდში. კოლონისტები შემოდგომაზე ხელსაყრელ ფასებში ყიდულობდნენ მეზობელ ქართველებისა და სომხებისაგან ღორებს ისინი ამზადებდნენ ღორს და სხვადასხვა სახის ძეხვეულს, რომლის ნაწილს ბაზარზე ყიდდნენ ხელსაყრელ ფასებში.

კოლონისტები წვრილფეხა საქონელს თითქმის არ აშენებდნენ. გამწვევ ძალად ხარს ნაკლებად იყენებდნენ. ისინი გამწვევ ძალად ცხენს აძლევდნენ უპირატესობას.

გერმანელ კოლონისტთა სამეურნეო აღმავლობამ თავი იჩინა მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან. ისინი

სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო გამოფენებში წარმატებით მონაწილეობდნენ. 1861 წელს თბილისში მოწყობილ ასეთ გამოფენაში ეკატერინენფელდი ფრიდრიხ ცეიზერი ოქროს მედლით დააჯილდოვეს გაუმჯობესებული გუთნის წარმოდგენისათვის. 1862 წელს ეკატერინენფელდის კოლონისტებმა ლონდონის მსოფლიო გამოფენიდან მიიღეს „საპატიო დახასიათება“, (დიპლომი) გამოფენაზე აქედან გაგზავნილი პურის საუკეთესო ხარისხისათვის.

1863 წელს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ მოწყობილ გამოფენაზე ვერცხლის მედლები დაიმსახურეს:

1. იაკობ ბებლემ (ეკატერინენფელდი)-ხორბლის, კარტოფილისა და ღვინისათვის.

2. მარტინ ვაგნერმა (ეკატერინენფელდი)-ხორბლისათვის.

ამვე გამოფენაზე ზემოთ დასახელებულმა ფრიდრიხ ცეიზერმა ქება დაიმსახურა წნეხის ორიგინალური კონსტრუქციის წარდგენისათვის.

ზოგიერთი მდიდარი კოლონისტი (კუჩენბახი, ფორერი,) წარმატებით მონაწილეობდა საერთაშორისო გამოფენებშიც.

ჩამოსახლებისთანავე გერმანულ კოლონიებში შეიქმნა სოფლის მეურნეობისათვის ისეთი აუცილებელი სახელოსნოები, როგორიც იყო სამჭედლოები და სადურგლოები. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ხელოსნობის ისეთი დარგების განვითარებას, როგორიც იყო მეფურგონობა და მეკასრობა. კოლონისტების მიერ დამზადებული ფურგონები იხმარებოდა არა მარტო კოლონიებში, არამედ მის გარეთაც-მეზობელ ქვეყნებში. ფურგონების დამზადება განუხრელად იზრდებოდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში-განსაკუთრებით თურქეთთან ომების პერიოდში სახელმწიფო დაკვეთებით დაკავშირებით.

მნიშვნელოვანი რაოდენობით ფურგონებს აწარმოებდნენ ეკატერინენფელდში. ამ დარგის განვითარება გამოწვეული იყო ფურგონების მაღალი ფასით. გერმანული ფურგონი 200-300 მანეთად იყიდებოდა, ხოლო რუსეთ-თურქეთის (1877-1878წ. წ.) ომის დროს სამხედრო უწყება მასში 300-500 მანეთს იხდიდა. მნიშვნელოვნად იყო განვითარებული მეფურგონობა 80-იან წ. ამიერ კავკასიაში რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით მეფურგონობა მცირდება.

მეღვინეობის განვითარებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად ვითარდება მეკასრობა.

აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ გერმანელი კოლონისტების დამზადებული კასრები დღესაც ხმარებაშია ბოლნისის მოსახლეობაში. ეს ღვინის კასრები, ასევე გამოიყენება ქ. ბოლნისში არსებულ ღვინის ქარხანაში, სადაც ათეული ტონის ტევადობის მუხის კასრებია განლაგებული მის უზარმაზარ

სარდაფებში. ეს ღვინის ქარხანა გერმანელი კოლონისტების მიერ არის აშენებული მე-19 საუკუნის დასაწყისში, 1908 წელს რომელიც მაშინდელ ამხანაგობას, გაერთიანებას (უნიონ) ეკუთვნოდა. ეს ქარხანა დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს. (სხვათა შორის ამ ქარხნის მიერ დამზადებული ღვინო ოქროს ფასად გადიოდა გერმანიაში და მასზე დიდი მოთხოვნა იყო).

მე-19 საუკუნის 50 იან წლებამდე ამიერკავკასიის გაერთიანებული კოლონიები, მათ შორის ეკატერინენფელდი გარეგნულად არაფრით განსხვავდებოდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა სოფლებსაგან: ვიწრო ჭუჭყიანი ქუჩები, მიწური ბანიანი ქონხები. ასეთი იყო კოლონიების გარეგნული სახე. ამ დროიდან ხელისუფლება კოლონიების ეკონომიური კეთილდღეობაზე ზრუნვასთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევს მათ კეთილმოწყობას. ა. ფადაევი ჯერ როგორც კოლონიების კეთილმოწყობის სპეციალური კომისიის თავმჯდომარე, შემდეგ როგორც სახელმწიფო ქონებათა ექსპედიციის მეთაური, რომლის მმართველობაში (გამგეობაში) გადავიდნენ გერმანელი კოლონიები 1850 წლიდან, პირადად დადიოდა კოლონიებში და ყოველ მხრივ აქეზებდა კოლონისტებს აშენებინათ ფართო, ნათელი ევროპული ტიპის სახლები, გაეყვანათ სწორი და ფართო ქუჩები და საერთოდ ეზრუნათ კოლონიის კეთილმოწყობაზე. სულ მალე ეკატერინენფელდში გერმანული არქიტექტურის ეროვნული მოტივების გათვალისწინებით დაიწყო საცხოვრებელი სახლებისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობების აგება. (თუმცა მხედველობაში იღებდნენ ქართულ, ეროვნულ მოტივებსაც, პირველ რიგში იგულისხმება აივნები კოლონისტთა სახლებზე).

ქუჩის ორივე მხარეს ფრონტონით ქუჩისკენ ჩამწკრივებული იყო კოლონისტთა სახლები, რომელთაც უმთავრესად ქვისგან აგებდნენ. ქუჩები და ეზოებიც მოკირწყლული იყო. კოლონიის შუა გულში იყო მოზრდილი მოედანი, სადაც მოთავსებული იყო კოლონიის სამმართველო, ეკლესია, სკოლა, სასტუმრო, სააჭრო წერტები, პურის საცხობი და სხვა. კოლონისტთა სახლს ფასადსა და ერთერთ გვერდზე ჰქონდა ღია აივანი (ქართული ეროვნული მოტივების გათვალისწინებით), რომელსაც ლამაზად გამოჭრილი რიკულები ამშვენებდა.

გერმანელ კოლონისტებს ჰქონდათ ბინის ავეჯი-დამზადებული კუსტარული წესით: მაგიდები, სელის სკამები, სხვადასხვა დანიშნულების კარადები, საწოლები, ერთი-ორი ტახტი მუთაქებით. კედელი და იატაკი დაფარული იყო ხალიჩებით, ზოგიერთ მდიდარ კოლონისტს სახლში ჰქონდა მუსიკალური ინსტრუმენტი ფიზგარმონი.

გერმანელ კოლონისტებს ეზოებში გამოყვანილი ჰქონდათ ტექნიკური წყალი, ამ წყალს სარწყავადაც იყენებდნენ.

1854 წელს ეკატერინენფელდში აშენდა ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესია 35 მეტრი სიმაღლით, სამრეკლოთი და ორღანით. ეკლესია გახდა კოლონისტების სულიერი ცენტრი. აქ მღეროდა მგალობელთა გუნდი. კოლონისტებს შექმნილი ჰქონდათ სასულე ორკესტრი, რომელიც ემსახურებოდა კოლონისტებს ზემისა და მიცვალებულთა დასაფლავების დღეებში

კოლონისტებს კარგად ჰქონდათ მოწყობილი სასაფლაო 130-280 კვ. მ. ფართობით, რომელიც დღეს სამწუხაროდ განადგურებულია.

გერმანელი კოლონისტების ოჯახები

კოლონისტთა ოჯახის მეთაურად ითვლებოდა მამა, რომელსაც უსიტყვოდ ემორჩილებოდა ოჯახის ყველა წევრი. ოჯახურ შიდა სამუშაოს: ბავშვების მოვლას, სადილის გაკეთებას, სახლის დალაგებას, რეცხვას, კერვას, პირუტყვისა და ფრინველის მოვლას ასრულებდა ოჯახის დიასახლისი. ამასთან ერთად ფიზიკურად მუშაობდა ქმრის გვერდით. ბავშვები იზრდებოდნენ მკაცრ, რელიგიურ გერემოში, სწავლასთან ერთად პატარაობიდანვე აჩვევდნენ შრომას. ქორწინებამდე შვილები მშობლების სახლში რჩებოდნენ. დაქორწინების შემდეგ ვაჟი ეყოფოდა ოჯახს. მშობლები ეხმარებოდნენ მას საკუთარი სახლის აშენებასა და მეურნეობის შექმნაში. შესაძლებლობის ფარგლებში მშობლები ეხმარებოდნენ გათხოვილ ქალიშვილსაც.

კოლონისტები ნათესაობას სუსტად იცავდნენ: ნებადართული იყო ქორწინება ბიძაშვილებს შორის, ორ ძმას შეეძლო ორი დის შერთვა. ცოლის გარდაცვალების შემთხვევაში მამაკაცი ხშირად ცოლის დას ირთავდა.

მიცვალებულის კულტი - სასაფლაომდე მიცვალებულის კუბო აუცილებლად თავდახურული უნდა ყოფილიყო. მიცვალებულს ბალდახანით, კატაფალკით მიასვენებდნენ. მიცვალებულს მთელი კოლონა აცილებდა, სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები გალობით მიჰყვებოდნენ. სასაფლაოზე პასტორი ამბობდა სიტყვას. დაკრძალვის შემდეგ ხალხი თავთავის სახლში მიდიოდა. მიცვალებულს არ უმართავდნენ ქელეხს, პანაშვიდს, ორმოც დღეს და წლისთავს. თვითმკვლელებს განსაკუთრებულ ადგილზე, სასაფლაოს გარეთ კრძალავდნენ. მკვდრად შობილი ბავშვები შებინდებისას უნდა დაემარხათ.

საქორწინო რიტუალები: სხვა ქრისტიანული მიმდინარეობისაგან განსხვავებით ლუთერანულ ეკლესიაში ჯვრისწერის დროს ნეფე-დედოფალი

ბეჭდებს არ ცვლიდნენ. თუ დასაქორწინებელი რამდენიმე წყვილი იყო, პასტორი ყველას ერთად წერდა ჯვარს. ეკლესიაში საქორწინო რიტუალის შემდეგ სტუმრები მიდიოდნენ დედოფლის მშობლების სახლში, სადაც იმართებოდა ქორწილი, სმა-ჭამა და სიმღერა. ცეკვები და ყოველგვარი გართობათამაშობანი აკრძალული იყო. სიმღერები ძირითადად რელიგიური ხასიათის იყო. ქორწილს აუცილებლად ესწრებოდა პასტორი. ქორწილის დედოფლის სახლში გადახდა და ცეკვა-გართობის აკრძალვა (თვით გერმანიაში, ისევე როგორც რუსეთის გერმანულ კოლონიებში) სრულიად განსხვავდებოდა არსებული ლუთერანული საქორწინო წესებისაგან. მათ მიხედვით ქორწილს იხდიდნენ ვაჟის ოჯახში და ცეკვა-თამაშებიც ნებადართული იყო. ეს განსხვავებანი სექტანტური მოძღვრების გადმონაშთები იყო.

ქორწინებაში გადამწყვეტ როლს მშობლები თამაშობდნენ. ამიტომ ამ აქტის დროს უფრო მატერიალურ მხარეს უწევდნენ ანგერიშს, ვიდრე გრძნობებს. მაგალითად, ეკატერინენფელდელი კოლონისტები ერიდებოდნენ ქალი გაეთხოვებინათ ელიზაველტტალში, რომელიც შედარებით უფრო ღარიბ კოლონიად ითვლებოდა.

ქვრივ მამაკაცებს 6 თვის, ხოლო ქვრივ ქალებს 9 თვის განმავლობაში ხელმეორედ დაქორწინების უფლება არ ჰქონდათ.

კოლონისტების გარეგნობა და სალაპარაკო ენა
გერმანელი კოლონისტები საშუალო ტანისა და

მკვრივი აგებულების იყვნენ, სახე ჯანმრთელი და ფეროვანი ჰქონდათ, თმები უმთავრესად მუქი ქერა ან შავი, თვალები ცისფერი ან ღია თაფლისფერი, კბილები უმრავლესობას დაზიანებული ჰქონდათ. მე-19 საუკუნის მიწურულამდე მამაკაცებში წვერ-ულვამის მოშვება თითქმის ცოდვად ითვლებოდა. შემდეგ პერიოდში ახალგაზრდები ხშირად უშვებდნენ წვერ-ულვამებს, ხოლო ულვამებს უმრავლესობა ატარებდა.

შერევა ქორწინების გზით გერმანულ კოლონისტებსა და გარშემო მცხოვრებ მოსახლეობას შორის თითქმის არ ხდებოდა.

კოლონისტების ჩაცმულობა — ატარებდნენ ტიპიურ შვაბურ კოსტუმს — ლურჯ ქურთუკს, მის შიგნით იცვამდნენ ფართო და გრძელ ჟილეტს და ატარებდნენ ფართო და მოკლე შარვლებს. ქუდეები გამოირჩეოდა დიდი კოკარდით, მამაკაცები ძირითადად ხმარობდნენ ჩექმებს, ხოლო ქალები შალის წინდებსა და უხეში ტყავის ფეხსაცმელებს. ქალებს ეცვათ მუქი ფერის გამოყვანილი გრძელი კაბები და ატარებდნენ იმავე ფერის წინსაფრებს. თავს იკრავდნენ შავი ან ფერადი აბრეშუმის თავსაფრებით.

მუშაობის დროს კოლონისტები ხმარობდნენ შინნაკეთ ჩალის ქუდეებს და თხელლანჩიან მსუბუქ ფეხსაცმელებს. ამ დროიდან მამაკაცებისათვის ვრცელდება სხვსდასხვა ფერის ტილოს ხალათები, ხოლო ქალებისათვის თეთრი ან ნაცრისფერი ტილოს კაბები და კოსტუმები.

ნიკა გოგიაშვილი

“ ზენეშინიუს ” ზეხევა

გაგრძელება
(დასაწყისი მე-2 ნომერში)

...დავიდართ ზღვისკენ, ტყვიების და ჭურვების წვიმაში უცებ ყვირილის ხმა გაისმა, ერთი დაგვიჭრეს ფეხში, ფეხი გადაუხვიეთ, სნაიპერის ნასროლი იყო. გაუგარძელეთ გზა, ქალებიც შემოგვიერთდნენ გზადაგზა, ბოლო ნაკადი გადიოდა ალყაში მომწყვდეული მეომრების თუ ბოლომდე დარჩენილი მოსახლეობის. ზღვაში ნავი იყო, 15 კაცამდის თუ დაიტევდა. დაჭრილი, ქალები და ვისაც არ შეეძლო ფეხით სიარული შევსვით ნავში, რამდენიმე მეომარი გაუყოლეთ და დანარჩენები დავიდართ ფეხით. მივდიოდით დიდი სიფრთხილით, მივალწიეთ

კინდლამდე, სადაც შემორიგებული ზვიადისტების ბატალიონი იყო. მიგვიღეს მთელი გულით და სულით, გვასადილეს და გვითხრეს, როგორც კი სამთავრობო ძალები ჩვენს ხაზს გაუსწორდებიან, ერთად განვახორციელებთ შეტევასო. ეს არ მოხდა, თუ რატომ, ამაზე პასუხს მაშინდელი ორად გახლენილი საქართველოს ლიდერები აგებენ, რომლებმაც პირადულ ამპარტავნებას შესწირეს ულამაზესი კუთხე. გადავწყვიტეთ ოჩამჩირეში წავსულიყავით, რადგან გავიგეთ, იქ დიდი ძალა იკრიბებოდა, ყველანი იმედს ვებღაუჭებოდით. დავადექით ფეხით

ტრასას, სადღაც სატვიროთო მანქანა წამოგვეწია, გავაჩერეთ და ოჩამჩირისკენ დავიდართო. სოფელ ცაგვარასთან სოფლის მეომრებმა გაგვაჩერეს, სად მიდიხართო, ჩვენ ჩვენი მიზანი ვუთხართო, ერთმა თოფით შეიარაღებულმა წვერმოშვებულმა მოხუცმა არ დაგვიჯერა, გარბიხართო და თან თოფს მანქანისკენ იშვერდა, დაგზოცავთ სუყველასო. ახალგაზრდებმა დააშოშმინეს და გავაგრძელეთ გზა. ოჩამჩირეში რომ შევედით, კბილებამდის შეიარაღებული უამრავი მეომარი სანგრებში იყო განლაგებული. გული სიხარულით აივსო, ახლა კი ვიწამე, ბრძოლა შეიძლებოდა, რადგან ამდენი მეომარი სოხუმში წინა ხაზზე არ ვიყავით და ბევრ ძალიან მძიმე შემოტევას გავუძელით, მათ შორის, ყველაზე მასშტაბურს - 1993 წლის 16-17 მარტის შემოტევას. პირველი ბატალიონის პირველი ასეული მედგრად ვიდექით მდინარე გუმისთის სამანქანო ხიდის ახლოს “კეპინგებში”, სადაც სამი დღე მშვიერ-მწყურვალე ალყაში ვიცავდით საკუთარ პოზიციებს და ბოლომდის დავიცავით. სხვათა შორის, მამუკაც ჩემთან იყო მაშინ სტუმრად და ისიც ჩვენთან ერთად იყო ალყის მოხსნამდის. ოჩამჩირეში, შუა ქალაქში, მეომრები იყვნენ თავმოყრილი. ჩვენ შტაბი ვიკითხეთ და წავედით შტაბში, იქ ზურგჩანთები, ფორმა, “პლაშპალატკა”, ჩექმები და რაც ჰქონდათ, დაგვირიგეს. მე არანაირი საბუთი არ მქონდა, ყველაფერი სოფელში მქონდა და საბუთიც მომცეს, ოჩამჩირის ბატალიონს მიმამატეს.

ყველანი თენგიზ კიტოვანს ველოდებოდით. გაისმა ვერტმფრენის გუგუნი, დაუბერა ქარმა და დაფრინდა ოჩამჩირის ცენტრში ბოლო იმედი, რომელმაც არ ვიცი თავისი თუ სხვისი ბრძანებით, დატოვა ღამით ოჩამჩირე თავისი კბილებამდის შეიარაღებული ჯარით. კიტოვანმა ომახიანი ხმით თქვა: ხვალ განთიადზე შეტევას ვიწყებთ, აბა, თქვენ იცით ბიჭებო. თმები ამებურძგნა, გავიფიქრე, მთლად არ დაღუპულა საქართველო, აი, კიდევ გვყოლია პატრიოტები-მეთქი.

მე, მამუკა, ომარი და გივი წავედით ომარის და გივის ნათესავის სახლში, რომელიც ოჩამჩირეში ცხოვრობდა. ომარი და გივი ძმები არიან. ცოტა ვისადილეთ, ჩექმები გავიხადეთ და ისე წამოვწექით ლოგინებზე, დიდხანს ძილი არ მეკარებოდა, დარწმუნებული ვიყავი, დილით დაწყებული შეტევა ისევ გუმისთამდე მაინც დაგვაბრუნებდა. ფიქრების მორეგში როდის ჩამეძინა ვერ გავიგე. საშინელმა ხმაურმა გამადვიდა. ტანკების გუგუნი ისმოდა ყოველი მხრიდან. ერთმანეთს გადავხედეთ, ფანჯრებში ბნელოდა. გულმა ცუდი მიგრძნო, ფანჯარასთან მივედით ფრთხილად, გამოკვეთილი რუსული და აფხაზური ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა, უკვე ყველა იმედი დაკარგე, დავრწმუნდი, რომ აფხაზეთი

საბოლოოდ განწირული იყო, სანამ ახალ დავით აღმაშენებელს არ გვაჩუქებდა ღმერთი. რატომ გაიყვანა კიტოვანმა ჯარი, ვინ მისცა ბრძანება, ნუთუ ამაზე პასუხი არავის აინტერესებს?!

მესამედ ალყაში, სამი დღე მდინარე გუმისთის სანაპიროზე წინა ხაზზე, სამი დღე ახალდაბის ალყაში და ახლაც ვინ იცის, რა მელოდა. ბრძოლას აზრი არ ჰქონდა. ახლა თავი უნდა გადაგვერჩინა და თუ ოდესმე საქართველოს ისეთი მმართველი ეყოლებოდა, რომელსაც წინაპრების სიყვარული, სამშობლოს სიყვარული და ღირსება ექნებოდა, მაშინ დაგვებრუნებინა სამაჩაბლო და აფხაზეთი, როგორც მსოფლიო პოლიტიკა მოითხოვდა, მაგრამ უნდა დაგვებრუნებინა, თუნდაც სიცოცხლის ფასად დაგვეჯდომოდა.

სახლიდან ჩუმად გავედით, სახლის პატრონი არ წამოგვეყვა. ჩვენ რამდენიმე ეზო გადავჭყერით, მეტი გადაადგილება არ შეიძლებოდა. ირიჭრაჭა, ვიდექით მანდარინების ქვეშ. ეზოში “ბელეტაჟი” სახლი იდგა, ფიქრის დრო აღარ რჩებოდა. სარდაფში შევძვერით, მესამედი სარდაფისა ხის ცარიელი ყუთებით იყო სავსე. ბეტონის ბოძებზე იდგა ეს სახლი, ბოძებთან გავწაწილდით, ყუთები ამოვიფარეთ. ავტომატის ჩამკეპტი გახსნილი მქონდა, გამოუვალ მდგომარეობაში რამდენიმეს მაინც გაუანადგურებდით, მაგრამ ეს თუ მოხდებოდა, სიცოცხლის შანსი აღარ რჩებოდა. ერთი ტანკის ჭურვის სროლა სარდაფში, რომელშიც ჩვენ ვიყავით და რომელსაც რამდენიმე ღია ფანჯარა ჰქონდა, საკმარისი იქნებოდა ძვლებიანად ჩაემწვარიყავით. მთელი დღის მანძილზე დადიოდნენ ბოვეიკები სახლებში. რამდენიმე ბოვეიკი ჩვენს სახლშიც შემოვიდა, აფხაზურად ლაპარაკობდნენ, ერთი მეტრის სიმაღლე გვაშორებდა მტერს, რადგანაც სარდაფი დაბალი იყო. მიყარ-მოყარეს ყველაფერი, ბრაზუნებდნენ კარგა ხანი და ხმამაღალი ლაპარაკით გავიდნენ ეზოდან. ჩვენს სახლთან ბევრმა ჩაიარა, ღია ფანჯარაში კარგად ჩანდა მათი სახეები, ორმა ბოვეიკმა მეგრული ლაპარაკით გაიარა, ომარმა თქვა, რაღაც შარვლის ქამარზე ლაპარაკობდნენო. მთელი დღე გვერდის შეცვლაც არ გვიცდია. შარდზე გასასვლელად მეოთხედ ბრუნს ვაკეთებდით, ადგომის შანსი არ იყო. სარდაფი ხელისგულივით ჩანდა იმ ვებერთელა ფანჯრებიდან, რომელიც ჩვენს სარდაფს ჰქონდა. ღმერთმა ცარიელი ყუთები ჩვენს გადასარჩენად დააწყობინა სარდაფში. მთელი დღის მანძილზე ყოველ წამს ღმერთს ვთხოვდი მფარველობას, ახლა მრცხვენია ხოლმე, ისე გავაზოგიერთი დღე, მამაო ჩვენოს თქმა დამავიწყდება.

საღამო ახლოვდებოდა, სასწაულის მოლოდინში ვიყავი, ნუთუ მართლა გვეწერა სიცოცხლე? რიჭრაჟი ჩადგა ჩვენს ფანჯრებში, წამოჯდომმა შეიძლებოდა უკვე. ავტომატის ჩამკეპტი ჩაკეპტე, ნახევარ საათში

საკმაოდ დაბნეულა, სხვათა შორის, მთვარიანი ღამე იყო, გადაწყვეტილთ ოჩამჩირე დაგვეტოვებინა ღამით, თუ მოვახერხებდით. გამოძევებით სარდაფიდან და დავიძარით ზღვის მიმართულებით. შიმშილმა გაგვახსენა თავი. ცოცხალ კაცს ბევრი მოთხოვნილება უჩნდება, ყველასთვის ცნობილია. აქა-იქ შემორჩენილ ბოსტნეულის მარცვლებს წავაწყდით, ეზო-ეზო გადასვლის დროს რამდენიმე ხმელი ლობიოს პარკი ვიპოვეთ, გაეინაწილეთ, საშინელი გემო ჰქონდა. ომარი, გივის უფროსი ძმა, ასაკით ყველაზე უფროსი იყო ჩვენს შორის, მან გზის გაკვლევა იკისრა, თან ოჩამჩირეს ორიენტაციით მაინც ცნობდა. ერთ ეზოში დიდი ზომის საღორე იყო “სეტკასთან”. შევიხედეთ შიგნით, დიდი ხნის დაცლილი იყო, რადგანაც გამომშრალი იყო იატაკი, შევძევრით ოთხივე, ადგილი კიდევ ბლომად იყო, ცოტა რომ დავისვენეთ, ომარიმ გვითხრა, წავალ გზას დავზვერა და დაბრუნდებით, რამდენიმე წუთში სირბილით დაბრუნდა ჩვენთან, გაისმა ძაღლის ყეფაც მეორე “სეტკასთან”, თურმე ომარის მომდევნო სახლში შეუნიშნავს მოხუცი კაცი, რომელიც გამოსულა მანდარინებში მოსაშარდად. ომარს დაუძახია ხმადაბლა, ”ჰეი, ნი ბოისა, ია გრუზინო”, ის საცოდავი შარვალჩაზდილი გაქცეულა სახლში, იქედან კი ბოვეიკები გამოცვენილან, ამასობაში კი ომარიმ ჩვენამდის მოსვლა მოახერხა. ალბათ, იმ მოხუცს დღესაც დასცინიან, მოგეჩვენაო, ბოვეიკებმა მოათვალიერეს იქაურობა. ჩვენ საღორიდან ვუთვალთვალებდით, როცა “სეტკასთან” მოვიდნენ. ქუჩებში მძიმე ტექნიკა დაგუგუნებდა, ზეიმობდნენ, რატომაც არა, უომრად ამხელა ტერიტორიის დაკავება განა საზეიმო არ იყო? ომარიმ ახლა მეორე გზის დაზვერვა გადაწყვიტა, ცოტა დააგვიანდა. ჩვენ ვნერვიულობდით, აი, ისიც გამოჩნდა. ხელით გვანიშნა, მისი მიმართულებით წავსულიყავით, გამოძევრით და დავიძარით სამანქანო გზის მიმართულებით, ხოხვით მივადექით გზის ნაპირს. ტანკმა ჩაიარა, შემდეგ ბოვეიკებმაც, ჩვენ ჭიშკარში გავხოხვით და არხში ჩავედით. არხი სავსე იყო ჭუჭყიანი წყლით, სხვა გზა არ იყო. ეს იყო ერთადერთი გზა გადარჩენისა. ავტომატები წყლის ზემოთ გვეჭირა, დავიღალეთ, მაგრამ რას ვიზამდით, სახლების წინ ბოგირები იყო. ჭუჭყიანი წყალი თითქმის ავსებდა ბოგირამდე, თავის ამოსაყოფიდა რჩებოდა, ავტომატი და თავი წყლის ზემოთ, ასე მივიწვედით ზღვისკენ. ერთ მონაკვეთზე ძაღლმა შეგვანიშნა, ყეფა-ყეფით მოგვდევდა. კიდევ კარგი, არავის შეუნიშნოვართ.

მივალწიეთ ზღვამდე, ომარი გაგვიძღვა და გალისკენ ავიღეთ გეზი. ოჩამჩირის და გალის საზღვარს რომ მივუახლოვდით, დავიწყეთ ფიქრი, როგორ გაგვერღვია საზღვარი, ჩვენ რა ვიცოდით, გალიც თუ გაყიდული იყო, როგორც დანარჩენი აფხაზეთი. გადაწყვეტილთ: ერთად მივახლოვდით

საზღვარს. ერთი ხელყუმბარა ჰქონდა ომარის. მე დავეკარგე ახალდაბიდან გამოსვლისას, ეკლების არხში რომ ვხოხვდით, ალბათ, იქ. ერთი სიტყვით, ხელყუმბარას ვესროდით, შემდეგ ავტომატებით ჩავხოცავდით სანგარში და გადავიბრუნდით მდინარეს. ეს გვექონდა გეგმაში, მაგრამ ეს არ დაგვეჭირდა, სანგარებში არავინ დაგვხვდა, ამან უფრო გაგვაკვირვა, გადავლახეთ მდინარე დალიძვა. დავრჩით ტყეში ყოველგვარი ინფორმაციის გარეშე. ერთ ადგილას ჭაობის არხი იყო, გადასვლა შეუძლებელი გახდა, გავეყვით მის ნაპირს და ერთ ნახევრადწაქცეულ ხეს მივადექით, რომელიც თითქმის წვდებოდა მეორე ნაპირს. ახლა მასზე ახოხება და გადახტომა იყო საჭირო. ეს მე, მამუკამ და ომარიმ შედარებით ადვილად მოვახერხეთ, ხოლო გივიმ რამდენჯერაც სცადა, იმდენჯერ ჩაცურდა ქვემოთ, ჩვენ უკან ვერ გადავიდოდით, რადგან ხის წვერო ძაღალზე იყო ჩვენი მხრიდან, გივი კი ვერ გადმოდიოდა, დავეჯექით და დავისვენეთ. გივიმ მოიკრიბა ძაღლები და ახოხდა ხეზე, ამჯერად გაუმართლა, ხის კენწეროს მოექცა თავში და გადმოხტა, დათვის ბელივით დაგორდა მიწაზე.

გავაგრძელეთ გზა. რადგან გადავრჩით, ახლა შიმშილმა შეგვაწუხა, ერთ მაღალ ხეზე ცოტა მოუკრეფავი ყურძენი იყო შემორჩენილი, ვაზის ძირი დაექაჩეთ და ჩამოიყარა მტვენები. ძალიან ცოტა იყო, გავაგრძელეთ გზა. არავინ ჩანდა, ერთი მანქანის მიტოვებული მისაბმელი სავსე იყო საზამთროთი. ახლა კი ვცხონდით, შიმშილის გრძნობა აღარ არსებობდა, მწიფე საზამთროს სისხლივით წითელი გულით დაგნაყრდით. ერთ ეზოში მოხუცი ქალი ვნახეთ, ვკითხეთ, რა ხდება, ხალხი სად არის თქო, რა ვიციო, თქვა, აფხაზები ხომ არ გინახავს შეიარაღებული-მეთქი, ვინ აფხაზები, არავინ არ ყოფილა აქ შეიარაღებულიო. ახლა უკვე გალის ტრასას მივუყვებოდით, ველოსიპედით კაცი შემოგვხვდა, გავაჩერეთ, მანაც გაიკვირვა, რისი ომი, გალში ომს რა უნდაო, დავრწმუნდით, რომ აქეთ არ იყვნენ შემოსული, მაგრამ მწარედ ვცდებოდით.

მივალწიეთ პრიმორსკს, სადაც გალის სამხედრო ნაწილი ყოფილა განლაგებული, სანამ ომი მიმდინარეობდა სოხუმში და ტყვარჩელის მიმართულებით. ახლა ცარიელი იყო. არ ვიცი კიტოვანს გაყვნი უკან თუ გაასწრეს, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, ომი არავის არ უნდოდა, ასე გამოვიდა. შლაგბაუმი იყო ნაწილის წინ ჩაკეტილი, იქვე აზბესტის მსხვილი დიამეტრის მილი ეგდო, ერთი სკამი იყო ნაწილის შესასვლელ კართან, რომელზეც გივი ჩამოჯდა. მე ტრასას გავხედე. სატვირთო მანქანა მოდიოდა, ძალიან შორს იყო, ვერ გავარჩევდი რისი იყო, ბიჭებს ვუთხარი, შევიდეთ მიტოვებულ ნაწილში, თავი დავიზღვიოთ-მეთქი, უარი თქვეს,

ჩვენები იქნებიან და ზუგდიდამდის წავყვებით. ომარი თქვა, მანამ შევალ, იქნებ ვინმე ვნახო, ამბავი რომ ვკითხო, მამუკამაც, მეც გავეყვითო და შევიდნენ ბეტონის გალანით შემორტყმულ ყოფილ სამხედრო ნაწილში. მანქანა გვიახლოვდებოდა, გვიის ვუთხარი, ჩვენც შევიდეთ-მეთქი, დაეხარა. მე გვი არ დავტოვე. გულს დარჩენა არ უნდოდა, ვინ იცოდა, რა მოხდებოდა. მანქანა გაჩერდა. “კაბინაში” სამი კაცი იჯდა, სამხედროები, მარაზე “გრადი” იყო დამონტაჟებული, მის ირგვლივ კი ათ კაცზე მეტი იქნებოდა შემომსხდარი. გაიღო “კაბინის” კარი. ოფიცერმა ცალი ფეხი ჩამოღვა “კაბინაში” შესასვლელზე და აფხაზურად დაელაპარაკა გვიის. მე მანქანის წინ ავდმოვჩნდი, გვიმ სვანური კილოთი მიმართა რუსულად “მი ტოლკო ჩტო პრიშლიო” და ავტომატს მჭიდი მიაგო, ვითომცდა აქ არაფერიო, მე ამასობაში ხელით ვანიშნე, შლაგბაუმს გავაღებ და გაგიშვებ-მეთქი. ეს ყველაფერი წამებში მოხდა, სანამ მე დიდი რადიუსის მილს თითქმის გადავაფრინდი, გვიმ ავტომატური ცეცხლი გახსნა, რასაც ჩემი ავტომატის ერთჯერიანი სროლის ხმა შეუერთდა, ერთჯერიანი მიტომ, რომ ტყვიები ცოტა მქონდა, მხოლოდ ორი მჭიდი მქონდა, დანარჩენი მარაგი ზურგჩანთაში მქონდა ცალობით, მაგრამ იმის ამოღებას და დატენვას ვინ მაცლიდა. პირველი ოფიცერს ვესროლე, კაბინიდან ფეხი რომ გამოყო, იმას შემდეგ მის გვერდში მჯდომს, ისიც ოფიცერი იყო. ამასობაში მძღოლმა მანქანა უკან დაწია ცოტათი და აზბესტის მილს დააჯახა, რას უზამდა, მკერდამდის მიწვედა მილის სიმაღლე, ოდნავ გადმოგორდა, ეს წამებში მოხდა. მესამე ტყვია მძღოლს ვესროლე და რულზე დადო თავი. შემდეგ ჯერით სროლა დავიწყე, ერთი მჭიდი გათავდა, მეორე “ტრასირებით” (“ტრასირი” არის ცეცხლმფრქვევი ტყვია) მქონდა საესე, მივაგე და ისევ ჩამოყვები, ხელმეორედ ვესროდი, რამოდენიმე ტყვია მანქანის სკამების მიმართულებით ვისროლე, ცეცხლი რომ მოკიდებოდა, გვიისკენ გავიხედე, გვი არ ჩანდა, მეც გასაქცევად მოვეშხადე იმ კარებისკენ, რომელშიც ომარი და მამუკა შევიდნენ, გვი არ დამინახავს სად წავიდა. კიდევ ერთხელ გადავხედე გრადის მანქანის ირგვლივ და რომ ვერავინ დავინახე ცოცხალი, წასვლის გადაწყვეტილება მივიღე, მაგრამ ჩანაფიქრი გამაყრუებელმა ხმამ ექოდ გადააქცია და შორი ძახილით ჩამესმოდა ყურში. ჩემი ავტომატი ძირს ეგდო. მე მანქანას ვუყურებდი, აზრი არ ჰქონდა დამალვას. მთელი სხეულიდან სისხლი შადრევანივით ასხამდა, ფეხთან ახლოს, ოც-ოცდაათ სანტიმეტრში, ხელყუმბარის შავი კვამლი იშლებოდა, მომეჩვენა თითქოს კვამლმა კუბოს ფორმა მიიღო, ჩექმა სისხლით ივსებოდა, ველოდი როდის მესროდა მორიგ ტყვიას. ვერავინ დავინახე, გრძნობაც არ დამიკარგავს.

უცებ ავტომატს დავწვდი, ისევ მიმოვიხედე ირგვლივ, ცოცხალი არავინ ჩანდა, იდეალური სიმყუდროვე ჩამოღვა, თითქოს დედამიწაზე ჩემს მეტი ცოცხალი არ არსებობდა. სიარული შემემლო, კარებისკენ წავედი, მანქანას შავი ბოლი ასდიოდა, მიცვალებულები ერთმანეთზე იყვნენ მისვენებულნი. სისხლი მარჯვენა ხელიდანაც ასხამდა, ზურგჩანთის სიმძიმე აუტანელი გახდა, კარებიდან ოთხ-ხუთ მეტრში დავაგდე და იქვე კუთხეში დავწექი. თუ ვინმე შემოვიდოდა, წავიყოლებდი იმქვეყნად და საქართველოს მოაკლდებოდა მტერი. თითქოს მიწიდან ამოძვრაო, უიარაღო კაცი გამოვიდა სათვალთვალო პუნქტის ქვემოდან. ბიძია ქართველი ვარ, ზურგჩანთაში ტყვიები მაქვს, მომწოდეთ თუ არ შეწუხდებით-მეთქი, ამ ლაპარაკში ის ჩემს წინ იდგა ორ-სამ მეტრში და მომახალა: ქართველი რომ ხარ იმიტომ, შენი დედის ასე და ისეო. მე ვიფიქრე, დაჭრილი ვარ, ალბათ, მომეჩვენა, ზომ არ გავბოროტდი-მეთქი, ვერ გავიგე თქო. ისევ გამიმეორა არ დაფიქრებულა, მეც არ დაფიქრებულვარ მეტი, ტრასირმა გაუარა გულში და ისიც ჩემსავით ასფალტზე იგდო, მხოლოდ განსხვავება ის იყო, რომ მე ჯერ ცოცხალი ვიყავი, ის კი - არა.

თვალებს არ დაუჯერე, საიდანღაც ჩემს წინ ომარი აღმოჩნდა, გვი სად არისო, მკითხა, მე ვუთხარი, გარეთ არ გახვიდე, ნუ გეშინია, ის გამოსულია, მამუკა სად არის-მეთქი ვკითხე, იქ დარჩაო, მე ვერ წამოვალ, შენც ჩემი გულისთვის დაიდუპები და წადი-მეთქი, უჭირდა წასვლა, მაგრამ რას იზამდა, შეტრიალდა და წავიდა მამუკას მიმართულებით. კიდევ რამდენიმე წუთი გავიდა, ომარი თვალს მიეფარა, მე გრძნობას არ ვკარგავდი, რაღაც სიცოცხლის იმედი მომეცა, წამოვდექი და ომარის მიმართულებით წავედი, “სეტკახეც” მოვახერხე გადახტომა. რამდენიმე “კემპინგში” იყო მწკრივში, ბოლო “კემპინგში” შევჩერდი. ტყემდე ასორმოცდაათამდე მეტრი იქნებოდა, შემემლო იქამდის მიღწევა, მაგრამ იქ რომ ომარი და მამუკა არ დამხვედროდა, მკვდარსაც ვერავინ მნახავდა შემდეგ, რადგან ათასნაირი ქვეწარმავლები და ცხოველები შეჭამდნენ ჩემს სხეულს.


გადავწყვიტე ამბოლო კემპინგში გავჩერებულიყავი, მჭიდში რამდენი ტყვია დამრჩა არ ვიცოდი, მაგრამ შემოწმების თავი არ მქონდა, რადგან ხელისგულში, მაჯაში და მხარში დაჭრილი ვიყავი. ასევე მთელი მარჯვენა სხეული დაცხრილული მქონდა, შევედი კემპინგში. სულ ერთი ვიწრო შესასვლელისა და ერთი პატარა გაპარტახებული ოთახისგან შედგებოდა. კარი, ფანჯარა და იატაკი არ ჰქონდა, ოთახის მაშტაბებთან შედარებით საფანჯრე დიდი სივრცე იყო ჩრდილოეთის მხარეზე, იატაკის მაგივრად კი მშრალი მიწის მტვერი და დაშლილი საბნის ბამბა იყო ერთმანეთში

არეული. ფანჯარასთან დადევქი და ველოდი მტერის გამოჩენას. ბრძოლა სიკვდილამდე! იარაღით ხელში სიკვდილი არაფერია, პირიქით, სიამაყის გრძობა მქონდა, რადგან ოცდაოთხი წელი და რამდენიმე დღე ვაჟკაცურად ვიცხოვრე. გული მხოლოდ იმაზე მტკიოდა, რომ ოჯახის წევრები დაიტანჯებოდნენ. არავინ ჩანდა, სისუსტეს ვგრძობდი, ვფიქრობდი, სანამ გრძობას არ დაუკარგავ, ფეხზე ვიქნები-მეთქი დათა თუთაშხიას მსგავსად. ეს ნაწარმოები ჩემთვის ყველაზე საუკეთესოა, ამიტომაც ჩემს ბიჭს დათა დავარქვი.

როდის ჩავიკეცე არ გამიგია, გრძობაზე რომ მოვედი, მტერიანი ბაძბის ნაგლეჯებში ვეგდე. ახლა ვფიქრობ, ალბათ, წაქცეულს თავში სისხლი მომეწოდა, ისევ ავდექი, ისევ ფეხზე ვხვდებოდი სიკვდილს და ჩრდილოეთისკენ ვიხედებოდი, რისთვის არ გვეშვებოდნენ, რას გვერჩოდნენ, რუსებისთვის რა დაგვიშაუვებია, თავისუფლებას ვითხოვდით, საქართველო მონობას ვერ იტანს. კიდევ დაიბადება დავით აღმაშენებელი, კიდევ აღდგება ყველა ქართველში ღირსება და თუ დაგვჭირდა, მტრად მოსულს, თუნდაც მთელ მსოფლიოს დაგვხვდებით და არ შემოვუშვებთ ღვთისგან ბოძებულ საქართველოში.

რამდენჯერმე განმეორდა ჩემი დაცემის და წამოდგომის ისტორია, ბოლო-ბოლო ადგომა არ შემეძლო. ფეხები გაითიშა. ხელის მოძრაობას ვახერხებდი, მაჯაში ამოგლეჯილი ჭრილობა სისხლიანი მტერით იყო სავსე. საშინელი ტკივილები დამეწყო, სხეულმა გასიება დაიწყო, ავტომატს მისაბჯენზე დახვეული რეზინის "ეგუტი" მოვსენი, ფეხზე გადავიჭირე, ტკივილებმა მიმატა, ფეხი ჩექმაში არ ეტეოდა, ისე გასივდა. ჩექმის გახდაც შეუძლებელი გახდა, მტერიანი ბაძბის ნაგლეჯები გადავიყარე ფეხებზე და

წელზე, ხელები და თავი მიჩანდა მარტო, ღმერთს პატიება ვთხოვე, პასპორტის ყრდაზე უკანასკნელი წერილი დავწერე, რადგან ერთადერთი მისი გადარჩენის შანსი, ჩემი სიკვდილის შემდეგ, იქ მივიჩნიე და მართალიც ვიყავი, დანარჩენი ყველა საბუთი განადგურდა, მივიღე ავტომატის ლულა ყბის ქვემოდან და თითი ნელი სვლით დავაჭირე ავტომატის გამსროლს, ტკაცანის ხმა გაისმა, ეს იყო ავტომატის ბოლო ამოსუნთქვა. ღმერთს ბოლო მსხვერპლად გამოუგზავნია ის, ვინც ძალით მომაკვლევინა თავი. ჯიბეები მოვიჩხრიკე, ყოველთვის მქონდა ორი - სამი ტყვია ყოველი შემთხვევისთვის გადანახული, ვერაფერი ვიპოვე. ოფლმა დამასხა, სიკვდილსაც ვერ ვახერხებდი, ტკივილი მტანჯავდა, ავტომატს ხუფი ავხადე, ზამბარა მტვერში დავმალე ჩემს გვერდში, გადამტენი თავთან ნახევარი მეტრის სიმაღლეზე მყოფი ფანჯრიდან გადავადე, ის პატარა მოწყობილობაა და ადვილად ვერ იპოვიდნენ (ავხაზები მყავს მხედველობაში) თუ არ იცოდნენ, დაახლოებით სად ვგლო, ჩავიხუტე ავტომატი, ყოველნაირი იმედი გადაწურული იყო, თავის მოკვლის შანსიც არ დამრჩა. ამ შემთხვევაში ის ნათქვამი გამოირიცხა, რომელიც ამბობს, ერთი გზა ყოველთვის არსებობსო. ეს თავის მოკვლაზეა ნათქვამი, როგორც ყველამ ვიცით. მე ეს გზაც აღარ მქონდა დარჩენილი, მაგრამ რა ვიცოდი, თუ ღმერთს ამ დონეზე ვუყვარდი და ყველა გზა რთული, მაგრამ გახსნილი მაქვს დღემდე. ზოგჯერ ფეხის ხმა მომესმებოდა, მე სუნთქვას ვაჩერებდი, თითქოს მკვდარი ვიყავი, ტყვედ არ წამიყვანონ-მეთქი, არავინ მინახავს, ახლა ამკარაა, რომ მეჩვენებოდა. რა დრო იყო, აზრზე არ ვიყავი, მახსოვდა მხოლოდ ის, რომ დილით ადრე დავიჭერი, უკვე ტკივილებიც აღარ მაწუხებდა, ყველაფერი გათიშული იყო. ასე



გავატარე მთელი დღე მარტომ, ღმერთის ანაბარა, დიდება მის სახელს. ერთი სიტყვით, ნელ-ნელა ვმორღებოდი აქაურობას. როდის დაუკარგე გრძობა არ მახსოვს, მახსოვს როგორც სიზმარში, ისეთი რამ, მაგრამ ეს სიზმარი არ იყო, ამბობენ, ფერადი სიზმარი არ არსებობსო, ზოგი ამბობს იშვიათად, მე კი მახსოვს: უკიდევანო მინდორში ვიწექი, ფერადი ყვავილებით იყო მოფენილი, ჩიტების ჟრიალი-

ლი ისმოდა ირგვლივ, ზოგიც ცაში ნავარდობდა, ცა მოწმენდილი იყო, მზე კაშკაშებდა, მაგრამ ისე, რომ თვალის გასწორება შეემძლო.

ახალდაბელი ხარ? — ეს სიტყვები შემოიჭრნენ ჩემში, თვალის გახელა არ მინდოდა. საოცარ სილამაზესთან განშორება მიჭირდა, მაგრამ ეს სიტყვები მოსვენებას არ მაძლევდნენ, მეორედბოდნენ, თითქოს ექოს გადაჰქონდა ტვინის სხვადასხვა ნაწილში. თვალი რომ გავახილე, ფანჯარაში ქერათმიანი მამაკაცი დაეინახე, სწორედ ის მეკითხებოდა, ახალდაბელი თუ ვიყავი. ავტომატს ვეპოტინებოდი, ისიც გამახსენდა, ავტომატის ნაწილები გადაგდებული რომ მქონდა, ამასობაში მიფხვდი, ეს პიროვნება, ან მამუკას და ომარის გამოგზავნილი იყო, ან გივის, რადგანაც ისინი სხვადასხვა მხარეს წავიდნენ, კი-მეთქი, ვუთხარი. ის ფანჯარას მოშორდა და რამდენიმე წუთში ჩემს ოთახში შემოაბიჯა, რამდენიმე წაშში გივი შემოჰყვა და მას კიდევ ერთი უცხო პიროვნება მოჰყვა უკან. ეს პიროვნებები ადგილობრივი მაცხოვრებლები იყვნენ, რომელთაც იარაღიც არ ჰქონდათ, თავი რომ დაეცვათ მტრისგან და ტყეში იმალებოდნენ. მე ჩემი ავტომატი მას გაუწოდე, ვინც პირველმა მნახა, გადამალული ნაწილები სად იყო ვასწავლე, ტყვიები ზურგჩანთაშია-მეთქი, ისიც ვასწავლე, სად იყო. ერთი წავიდა, დახოცილი მტრის სისხლში გასერილი სიგარეტის კოლოფები მოიტანა, მე მათაც იგივე ვუთხარი, რაც ომარის, გივის ვთხოვე. დამტოვეთ და ხელეუშობარა დამიტოვეთ-მეთქი. რამაზის ცრემლები შევნიშნე, აქ როგორ დაგტოვებთო. გივიმ და რამაზიმ წამომწიეს, მხარზე შესმა უნდოდათ ჩემი, საშინელი ტკივილი ვიგრძენი, რამდენადაც შემძლო ვიყვირე, დამაწვინეთ, ვკვდები-მეთქი, სიკვდილს ვინ ჩიოდა, ვიტანჯებოდი, მოთმენა არ შეიძლებოდა, დამაწვინეს ისევ მიწაზე, კიდევ სცადეს, ისევ უარესი, კიდევ ვთხოვე წასულიყვენ, ჩემი გულისთვის ყველანი არ დაიღუპოთ-მეთქი, არ მემეგობდნენ, მაშინ ხელები გავუწოდე, მიწაზე გართხმული თრევით წამაჩოჩეს ტყისკენ. ახლა ჩექმები საშინელ ტკივილს მაყენებდა, გახდით ვერ გამხადეს მარჯვენა ფეხზე. ფეხი იმ ღონეზე იყო გასივებული, ჩექმაში თითხაც ვერ ჩადებდით, დანით გაჭრეს და სისხლში გაჟღენთილი ჩექმა იქვე მიაგდეს. გზა გაგრძელდა, ფეხებში ქვიშა და ეკლები მერჭობოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, ჩემი წამოყენება არ შეიძლებოდა. სისხლი არ იყო დარჩენილი, ვერტიკალურ მდგომარეობაში თავს რომ მიწოდებოდა. ტყეში რომ აღმოვჩნდით, დაისვენეს ბიჭებმა და უსაფრთხო ადგილის პოვნაზე ფიქრობდნენ, სადღაც წამათრიეს და ბუჩქებში დამძალეს. მეტის თრევა არც მათ შეემძლოთ. ერთი წავიდა, იქნებ რამე ვიშოვო, დაჭრილი რომ დაეაწვინოთ, თან საჭმელს მოვიტან რამესო. უკვე დამდებოდა, გადარჩენის შანსი იზრდებოდა, რადგან დამე მტერი ვერ გვნახავდა. მე

პერიოდულად გონებას ვკარგავდი, გივი ენით ტუჩებს მისველებდა. წყალი არსად არ იყო, გულიც ამერია, წითელი სითხე ამომდიოდა, სისხლს მალეზინებდა გვეგონა, გივი თურმე ცოტა ხნით გადიოდა გვერდზე, იტირებდა და ისევ ბრუნდებოდა ჩემთან, არ უნდოდა დაენახებია ჩემთვის, რომ იმედი არ ჰქონდა ჩემი გადარჩენის, რომ არ მოკვდი, შემდეგ გახსენებიათ, მარტო საზამთრო რომ გვექონდა ნაჭამი, წითელი სითხეც საზამთროს წვენი იყო. იმ პიროვნებამ ჩემთვის საჭმელი და გადასაფარებელი მოიტანა, გივი თავისი ხელით ცდილობდა ეჭმია, მაგრამ მე არ შემეძლო დამეღეჭა, თვითონ დაღეჭა, მაგრამ ვერც ის გადაეყლაპე, ერთი სიტყვით, გული არ კვდებოდა, დანარჩენი ყველაფერი კომაში იყო.

როგორ გათუნდა არ მახსოვს, ამ დეტალებს გივის ვკითხავ, ის ახლა სხვა ქალაქშია. მეორე დღეს ადგილობრივი ექიმი ცოლ-ქმარი მომიყვანეს. მათ დამბანეს და რაღაც გამაყუჩებელი ნემსი გამიკეთეს, დედიშობილა ვიყავი, რადგან შარვალი და ზედა ვერ გამხადეს, ისე ვიყავი გასივებული და შემომატრეს ყველაფერი ტანზე. როცა გრძნობაზე კარგად მოვიდიოდი, ტკივილებიც პიკს აღწევდა. ვიღაცამ გივის წერილი მოუტანა, ომარის და მამუკას წერილს ჰგავსო, - თქვა გივიმ. ისინი სახელებს არ წერდნენ. გივიმაც დაუწერა რაღაც, მას მე როგორც მკვლარი, ისე მოუხსენიებოდა იმ წერილში, რადგან არანაირი იმედი არ ჰქონია ჩემი გადარჩენის, მეტიც, საფლავის გათხრაც დაუწყია, ყოველ წამს ელოდა თურმე ჩემს სიკვდილს, ერთი სიტყვით, მამუკა და ომარი მოიყვანეს ჩვენთან და ახლა, რადგან არ გამიჩერდა გული, დაიწყეს ფიქრი, თუ როგორ წამომიყვანდნენ ზუგდიდში, მოჭრეს ორი გრძელი სარი, "ადიალ" დაამაგრეს მასზე, დამაწვინეს და გადაწვივითეს საღამოს ზღვით ნავის საშუალებით მაქსიმალურად წაგვეწია წინ.

ერთმანეთის ნახვამ ძალა შემატა ძმებს, სამივეს ვეულისხმობ ძმებში, რადგან ორი ალალი ძმები იყვნენ, მესამე კი - მათთან გაზრდილი ბიძაშვილი. ვიღაცამ ძველი შარვალი მომიტანა, სადილე არ ჰქონდა, მავთულით შემეკრეს, შარვლის გარდა არაფერი არ მეცვა. ნავი დაზიანებული იყო, კერძოდ, წვრილი ნახვრეტი ჰქონდა, ქილა მოგვიტანეს, წყალი რომ გადაესხათ ბიჭებს ნავიდან, ჩამაწვინეს ნავის ფსკერზე და ნავის ცალი ჯოხით შევცურეთ ზღვაში. დაბნელდა. გონზე რომ მოვედი, წყალში ვიწექი მთლიანად, პირში მლაშე წყალი ჩამდიოდა, რაიმეს თქმის თავი არ მქონდა, წყალს პირიდან უკან ამოსუნთქვით ვაბრუნებდი. ხრიალის ხმამ ბიჭები გამოაღვიძა, თურმე ჩასძინებოდათ. აბა, რა იქნებოდა, ამდენი დღის ნატანჯი იყვნენ. ნავის ჩაძირვას წამები ამორებდა, ბიჭები თან წყალს ასხამდნენ, თან ტანსაცმელს იხდიდნენ გადასახტომად. ნავი გადარჩა და ბიჭებმა მთელი

მონდომებით განაგრძეს წინსვლა.

ირიჭრაჟა. ირგვლივ არაფერი ჩანდა, მდინარის დინებას ნავი ღრმად გაუტაცია ზღვაში, რაღაც ბუნდოვნად შენიშნეს ბიჭებმა და მის მიმართულებით დაიწყეს ბრძოლა გადარჩენისთვის. მართლაც, გამოჩნდა ნაპირი. კარგი გათენებული იყო, სანაპიროს რომ მივადექით, კიდევ კარგი, არავის დაუუნახივართ, თორემ ზღვაში ჩაგვხოცავდნენ. მდინარიდან ნავი ამოათრიეს, მთლად სველი ვიყავი, მოხრა არ შემიძლო. ბიჭებს უჭირდათ ასეთ მდგომარეობაში ჩემი გადაადგილება, ნავიდან ამოყვანისას ისეთი ტკივილები ვიგრძენი, სიკვდილი ვინატრე, ცეცხლი დაანთეს, ოდნავ შემაშვრეს. ომარამ თქვა შორეული ნათესავი ცხოვრობს სოფელში, იქნებ რამეში დაგვეხმაროსო, წამიყვანეს და იმ ნათესავის ეზოში, ხის ძირში დამაწვინეს. ისევ დათა თუთაშხია გამახსენდა: მწვანე მინდორში, ხის ძირში სიკვდილი, მართლაც, განსხვავებული ყოფილა, მაგრამ ღმერთს თურმე გვემაში არ ჰქონია ჩემი სიკვდილი. მალე ორთვალაში გაბმული ცხენი მოიყვანეს, დამაწვინეს ხის ორთვალაზე და გვეშურეთ სოფლის შიგა გზებით ზუგდიდის მიმართულებით.

ხელყუმბარის ნამსხვრევები მთელი ზურგის არეში საშინელ ტკივილს მაყენებდნენ. გვერდზე დაწოლაც არ შემიძლო, თან გადაბრუნებასაც ვერ ვახერხებდი. ცხენი კი სოფლის ქვა-ღორდიან გზაზე მიაქროლებდა მასზე მობმულ ორთვალას, რომელზეც საშინელ ტკივილს განვიცდიდი, მაგრამ სამაგიეროდ სამშვიდობოს უუახლოვდებოდი, აუცილებელი იყო ერთი მონაკვეთის ცენტრალურ გზაზე გასვლა, გავედით და დანახეს, მტრის მძიმე ტექნიკა სახლთან იდგა. გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო. მზე აცხუნებდა. გზის ნაპირზე დააყენეს ორთვალა. ბიჭები გზიდან გადავიდნენ და “სეტკის” ძირში დასხდნენ, სეტკის მეორე მხარეს სიმინდის ყანა იყო, მე თავის წამოწევა მოვახერხე და “ბმპ” დავინახე, საკმაოდ მოშორებით იყო, მაგრამ ცხენი ორთვალათი ვერსად გაიქცეოდა. მაშინ მივხვდი, რომ სიცოცხლის შანსი მქონდა, თან ახლოს ვიყავით ზუგდიდთან. იმედი იყო, ზუგდიდიც არ იქნებოდა გაჩუქებული მტერზე. სიმინდებში დამალვა იქნებოდა სიცოცხლის გარანტი, მაგრამ ბიჭები ისედაც დაეტანჯე და არაფერი დამიძახია, ღმერთს მივუხდე და მანაც მომხედა, “ბმპ” მეორე მიმართულებით წავიდა, თორემ ჩემსკენ რომ წამოსულიყო, მნახავდნენ ორთვალაზე დაჭრილს და იქვე დამაცხრილავენ.

გზა გავაგრძელეთ. სახლის ავეჯით დატვირთული ტრაქტორი იდგა ენგურთან ახლოს, ცხენი ორთვალათი მდინარეს ვერ გადავიდოდა, ამიტომ ტრაქტორის პატრონს სთხოვეს და ამ ავეჯზე მაღლა დამაწვინეს, ტრაქტორმა გადამიყვანა ენგურის მეორე მხარეს. იქ მაშინ ვერეთ წოდებული “ზვიადისტები” იყვნენ გამაგრებული, ამბავი ჰკითხეს ბიჭებს და

სასწრაფოდ ჩემი საავადმყოფოში გადაყვანა გადაწყვიტეს მერსედესის მარკის ახალთახალი მანქანით. გადაწიეს წინა სავარძელი და შემადვრინეს, ჯდომა არ შემიძლო. ახლა უკვე ჯარისკაცის მამა გამახსენდა. მერსედესი კი თითქმის მიფრინავდა.

ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ექიმები და ექთნები თავზე დამტრიალებდნენ. მათ მე სიცოცხლე შემიწარჩუნეს, აგრეთვე “ზვიადისტების” ქალთა ჯგუფი იყო, ორგანიზაცია არ მახსოვს მათი, მათ ყველა წამალი მოიტანეს, რაც საავადმყოფოს არ ჰქონდა, საკმაოდ ძვირად ღირებული. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადაუხადო ექთანს ლალი ფიფიას და ექიმს რამინ შონიას, ლალიმ მთელი ცამეტი ღღის მანძილზე საკუთარი ძმასავით მომიარა და თბილისში გადმოსვლისას ახალი ტანსაცმელი მაჩუქა. ღმერთი იყოს მისი მფარველი. მე სიკვდილამდე მადლობელი ვიქნები ამ ადამიანის. ბატონმა რამინმა კი მესამე ღღეს, ტკივილები რომ არ მეხსნებოდა ძლიერი გამაყუჩებლებით, ყველა ჭრილობა დამითვალღერა ხელახლა, ბარდაყში გამჭოლ ჭრილობაზე რომ დააჭირა ხელი, ჩირქი სახეში შეეფრქვა, მასაც და ექთანსაც, მის ადგილზე კი დიდი ჩირქოვანი გამჭოლი ნახვრეტი დარჩა. ექთანმა ცრემლი ვერ შეიკავა, ექიმი უცებ შეტრიალდა, თან ექთანს უთხრა: საოპერაციოდ გაამზადეთ და შემომიყვანეთო. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, ტკივილებმა მიკლო, მაგრამ გამაყუჩებლების გარეშე მაინც მოუთმენელი ტკივილები მქონდა. ადრე გამაყუჩებლებიც არ მშველოდა სრულყოფილად. ექიმს მადლობა გადაუხადე, ღმერთი გფარავდეს-მეთქი ვუთხარი, მეტის გაკეთება არ შემიძლო, რადგან აფხაზეთიდან როგორც დავიბადე დედისშობილა, ისე გადმომიყვანეს საკაცით.

ერთ დილით მამუკას და, დედა, და მამიდები შემოვიდნენ. ეს ისე მოულოდნელი იყო, ცრემლი ვერ შევიკავე, ირმას (აწ გარდაცვლილი, ღმერთმა გაანათოს მისი სული), მამუკას დას ბოლიში მოუხსადე, რომ ვერ შევძელით მამაკაცებმა მათი უსაფრთხოება და ტყვეობაში ყოფნა მოუწიათ მანდილოსნებს, მაგრამ თუ ადამიანი ხარ, ვერაფერს ვერ დაუკარგავ სიკეთეს. ტყვეობაში ირმას და მის უახლოეს მეგობარ გოგონებს ახალდაბელი აფხაზი მეზობლის ნათესავები მფარველობდნენ და ხელშეუხები გადმოიყვანეს. მამიდა კი ერთ ისეთ მძიმე შემთხვევას ყვება, არ მგონია არსებობდეს ქართველი მამაკაცი ვინც ამას მოისმენს და შეურაცხოფილად არ იგრძნობს თავს, კერძოდ, ერთ ღღეს შევარდნილან ბოვეიკები ტყვე ქალებთან, ცამეტი წლის გოგონა გაუთრევიათ, გარკვეული დროის შემდეგ იგი მოუყვანია ერთ ბოვეიკს და უთქვამს: “ჩტობ ვი ზნალი, ანა ჩესტნაია ბილარ”. მე თითქოს გავაკეთე ყველაფერი, რაც ერთ რიგითს შეეძლო, მაგრამ იმ გოგონას თვალში როგორები ვიქნებით ყველა ქართველი მამაკაცი, როცა მას ახსოვს ის, რომ

მტერმა იმ უბედურების დროს ისიც მიახალა თურმე, "გდე ტვინი გრუხინსკი ბოვეიკი". პირადად მე მაშინ სოფელ გულდავაში ვიბრძოდი და ჩვენი ჩახოცილი აფხაზები ზუსტად იმ სოფლებში მიუსვენებიათ. გადარჩენილს უთქვამს, მხედრიონი დაგვესხა თავსო, ეს ტყვეობაში მყოფებმა გვიამბეს შემდეგ, ჩვენ მხედრიონთან არანაირი შეხება არ გვქონდა, უბრალოდ მხედრიონის ნაწილი ვგონა მას, ვინც სავარაუდოდ მე ხელყუმბარა მესროლა და დაიძალა.

ერთხელ ერთი ახალდაბელი მოვიდა ჩემს სანახავად, მამიდის მეზობელი, ისიც ვილაღ ნათესავთან იყო შეკედლებული, მასთან ერთად ბევრი ლტოლვილი ყოფილა იმ სახლში თავშეფარებული, მაშინ ყველაფერი ჭირდა. ერთი ქილა მურაბა გამოუტანებია სახლის პატრონს, უცნობი დაჭრილისათვის საჩუქრად. ეს ჩემთვის მხოლოდ საჭმელი არ იყო. ეს იყო დიდი სულიერი თანადგომა გაჭირვებული ადამიანებისადმი, ყველაფერი რომ ნაწილდებოდა, რათა ხალხი გადარჩენილიყო. ღმერთმა დალოცოს ის ოჯახები, ვინც დახმარების ხელი გაუწოდა გაჭირვებულ ხალხს, სულ სიკეთე მისცეთ ღმერთმა.

ამასობაში ხმები ვრცელდებოდა, აფხაზი ბოვეიკები ზუგდიდის ბაზარში ვნახეთო. ამის სარწმუნო წყარო მე არ მაქვს, თან არც მჯერა, რადგან თუ „ზვიადისტები“ აფხაზებს შეურიგდნენ და ერთად აპირებდნენ ბრძოლას, მაშინ მე იგივე „ზვიადისტებმა“ გადამარჩინეს მდ. ენგურის მოყოლებული და ლოგინზე მიჯაჭვულს თავს მეკვებოდნენ, მათ მე სიცოცხლე შემინარჩუნეს, დიდი მადლობა იმ კეთილ ქართველებს.

ერთი სიტყვით, გადაწყვიტეს ჩემი თბილისში წამოყვანა და ქობალიასთან წავიდნენ სათხოვნად, მანქანა რომ გამოეყოთ ჩემს სადგურამდის მისაყვანად. ესეც მეორე ფაქტი, „ზვიადისტებმა“ რომ არ ებრძოდნენ რიგით მებრძოლებს. ქობალიას სწყენია, რატომ მიგყავთ, ნუთუ ჩვენთან ყურადღება გაკლიათო. რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით. თუ რამე გჭირდებათ, მითხართო. მამიდას უთქვამს: თბილისში ნათესავები გვყავს, უფრო მოგვხედავენო, კი ბატონოო და მანქანა გამოუყოლებია, საკაცით მეცამეტე დღეს წამიყვანეს რკინიგზის სადგურში. იქ ასფალტზე საკაცეზე დამაწვინეს, ქალები ცრემლებს ვერ მალავდნენ. ერთმა ქალმა „სნიკერსნ მარუქა, მეორემ - ფული. ქალის გული მაინც სხვაა, ქალი დედაა, ქალი ყველაფერია. იქ უფასო სასადილო ფუნქციონირებდა, ხორციანი საჭმელიც იყო.

ხალხი გაურკვევლობაში იყო. მტერთან ბრძოლა შეწყდა და ახლა თითქოს ომი მოგვეგოს, ერთმანეთს დაეტაკნენ, ჩამოდგა მატარებელი, რომელმაც სამტრედიამდის მიგვიყვანა. იქ მდინარის იქეთ-აქეთ გზააბნეული ორად გაყოფილი ქართველები იდგნენ და ბომბებს და ტყვიებს გამეტებით ესროდნენ ერთ-

მანეთს, აბა, მაშინ აფხაზეთისთვის და ჯერ კიდევ იქ დარჩენილი ტყვეებისთვის ვინ მოიცვლიდა? ახლა დანაღმულ ხიდზე გვიწევდა გადასვლა, მე საკაცით მიყავდით ბიჭებს, „ზვიადისტებმა“ გვითხრეს, ჩვენ გაგიშვებთ, მაგრამ ისინი დაგხოცავენო, მეორე მხარეზე რომ გადავდით, მოვარდნენ ჟურნალისტები და გადამიდეს ვიდეო, ინტერვიუ არ აუღიათ, ის კადრები მე არ მინახავს, ხოლო ხიდზე გადმოსვლის კადრები, როცა მე საკაცით გადმოვყავართ ბიჭებს, (თან ბევრი ადამიანი გადმოდიოდა ჩვენთან ერთად), ბევრჯერ ანახეს ტელევიზიით. ახლა მეორე მხარეს გაუკვირდათ, „ზვიადისტებმა“ როგორ არ დაგხოცესო. მე კი ვფიქრობდი, თუ ასეთი სიძულვილი იყო ერთმანეთში ოდითგანვე, როგორ მოვადწიეთ აქამდე. აქედან სამტრედიის საავადმყოფოში გადამიყვანეს სასწრაფო მანქანით, იქედან კი თბილისში გადმომიყვანეს, რუსუბლიკურ საავადმყოფოში. ჩემს პალატაში სოხუმში წინა ხაზზე მებრძოლი კახელი ვანო დამხვდა, ბარძაყი მოგლეჯილი ჰქონდა, ჭურვი მოხვედრია, მართო ძვალი ჰქონდა დარჩენილი. მე ტკივილებმა შემაწუნა, ექთანს ვთხოვე, გამაყუჩებელი გამიკეთე-მეთქი, ვანომ თავი მოაბრუნა, ექთანს თვალები დაუბრიალა და უთხრა, წამალი არ გაუკეთო, თორემ აუღებო ცალი ფეხით და ორივეს გადაგყრით ფანჯრიდანო. ორმეტრიანი ვაჟკაცი იყო ვანო, ყოველთვის ყველაზე წინ მიიწევდა მძიმე შეტაკებებზე, წინა ხაზზე, ერთხელ ფეხშიშველა გადავიდა ხიდზე, გარდაცვლილა გავიგე, მგონი გულმა უღალატა, მართლაც ოქროს გული ჰქონდა, ძალიან უყვარდა საქართველო. ექთანი გავიდა პალატიდან და აღარ დაბრუნებულა, მე ვანოს ვუთხარი, რა მიქენი, ტკივილები მკლავს-მეთქი, ვანომ მშვიდად მიპასუხა, ჩვენ თუ წამალს გავიკეთებთ, მივეჩვევით და ვინ იბრძოლებს სოხუმის დასაბრუნებლადო, შემდეგ თავისი კუნთმოგლეჯილი ბარძაყი მანახა, განა მე არ მტკივა, მაგრამ ვითმენო.

ერთი თვე გავიდა დაჭრიდან, ორი ყვარჯნით საპირფარეოში მოვახერხე გასვლა, მაგრამ ძალიან მიჭირდა ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნა.

მეტს აღარ მოგაწყენთ თავს. ყველა გაჭირვება გადალახულია. დიდი ბრძოლის შემდეგ დავიწყე სამსახური დამსახურებულად, შევექმენი ოჯახი, მყავს თერთმეტი თვის ვაჟკაცი დავითი (დათა), ვიყიდე მანქანა და ვცხოვრობ იმის იმედით, რომ დავიბრუნებთ სამანაბლოს და აფხაზეთს, თუ ომი იქნება საჭირო, მეორე 37 ჭრილობასაც ავიტან საქართველოს ერთიანობისთვის და ჩვენი შვილების კეთილდღეობისთვის.

ნუგზარ მემველიანი

იყმობი

- მამა, ათასი ლარი ბევრია?
- გააჩნია, დახარჯვა გინდა თუ შოვნა...

* * *

(ქალი ქუჩაში)
- ვისია ეს ძალი, გაიყვანეთ, მთელ ტანზე რწყილები დამდის!..

(პატრონი)

- რიჩი გამოდი, ხომ ხედავ ამ ქალს რწყილები ყოლია, არ გადაგედოს!

* * *

დილით ადგა თუ არა ქმარი, წყლის დასალევად წავიდა. ცოლი ეკითხება:

- რატომ სვამ ამდენ წყალს?
- სიზმარში სტუმრად მეზობელთან ვიყავი, ხინკალი გააკეთა და ცოტა მლაშე მოუვიდა...

* * *

- მიტო, შენი „კენგოლის“ ქუდი მთლად ახლად გამოიყურება.

- ხუთი წლის წინათ ვიყიდე, ოღონდ სამჯერ გავწმინდე და ოთხჯერ რესტორანში სხვისაში შემეშალა...

- რა არასასიამოვნო ხმაა! ვინ მღერის?
- ჩემი ქალიშვილი.
- მაპატიეთ, იცით, საქმე მარტო ხმა კი არ არის, სიმღერასაც გააჩნია. საშინელი სიმღერაა, საინტერესოა, ვინ დანერა?
- მე.

* * *

მოსამართლე:
- ვინც ახლა სიჩუმეს დაარღვევს, ქუჩაში გავაგდებ!
ბრალდებული:
- ვაშააააა!..

* * *

- რა გჭირს, სახე დასისხილანებული და დაჩხაპნული გაქვს, თვალები ჩალურჯებული, წამო ერთი, სახლში მიგაცილებ.
- არ მინდა, იქიდან მოვდივარ.

* * *

ერთი ლოთი გადააწყდა მეორე ლოთს:
- მესამე იქნები?
- ვიქნები.
- მაშინ წავედით მოვძებნოთ მეორე...

გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო
გამოიცქმა 2005 წლის ოქტომბრიდან

Das Organ des Georgischen Vereins in Deutschland e.V.
Herausgegeben seit Oktober 2005

დაფუძნებანი-გამომცემანი:
ბაჩანიის ქართული სათვისტომო

სახედაქციო ჯოლეგია:
ნინო საბელაშვილი (მთ. რედაქტორი)
ნინო დალაქიშვილი
ნინო ცხომელიძე-დეპუტირმდილი
თინათინ ჩითინაშვილი (რედაქტორი)

მუდარევი მისამართი

Georgischer Verein in
Deutschland e.V.
Leri Datashvili
Roemerhofweg 51c
85748 Garching b. München

დაგვიკავშირდით:
ტელ.: 0711/12 28 97 26
ელ. ფოსტა: qartuli@satvistomo.de

ჩვენი ზახუნოხის ამეხიყაში გამომავალი ქართული გაზეთი „მამული“